

# აუღებოვი

უწყვილი სავაიო

THE WORLD OF CONSTANT CONNECTION

1(65)2015



# 4G LTE

უსაფრთხი უწყვილი  
ავაიო სავაიო



აირჩიე მობთიკომის უსწრაფესი საშუარო  
და იგრძენი ხარისხის უპირატესობა!

4G<sub>LTE</sub>



3G



2.5G



[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

მაგთი  
MAGTI





# აუდიონი

კავშირის საყარო

THE WORLD OF CONSTANT CONNECTION

## ს ა რ ჩ ე ვ ი

Contents 1(65)2015

- 2** რა არის 4G LTE  
About 4G LTE
- 4** შანსი ყოველთვის არსებობს!  
There is always a chance!
- 8** უახლესი 4G სმარტფონები  
მაგთიკომში  
Newest 4G Smartphones at MagtiCom
- 10** ვაჟა ორბელაძის რაციონალური  
არქიტექტურა  
Vazha Orbeladze's rational  
architecture
- 18** მოცეკვავე ვარსკვლავების  
გამორჩეული სეზონი  
A special season for the Dancing Stars
- 32** თემურ ჩხეიძე - სცენაზე და  
სახელოსნოში  
Temur Chkheidze on stage and in the  
workshop
- 40** შეთქმულება თეთრ თიხასთან  
In cahoots with white clay
- 48** აქ ვიღაც იყო  
Someone was here



დამფუძნებელი  
მანანა შევარდნაძე

სარედაქციო ჯგუფი  
რუსუდან რუხაძე / რედაქტორი  
ირაკლი ბერიძე  
სიუზენ ჩენონი  
ქეთევან კიკნაძე

დიზაინერი  
ირაკლი ჩხაიძე

www.neostudio.ge  
mudmivi@neostudio.ge  
info@neostudio.ge  
f neostudio.neo

FOUNDER  
Manana Shevardnadze

EDITORIAL STAFF  
Rusudan Rukhadze / Editor  
Irakli Beridze  
Susanne Channon  
Ketevan Kiknadze

DESIGNER  
Irakli Chkhaidze

საორბანიზაციო ჯგუფი  
ელენე სეხნიაშვილი  
ეკატერინე კეთილაძე  
ნინო შიოშვილი  
თათია გვეტაძე  
გიორგი ბაბალაშვილი  
დავით ფავლენიშვილი  
გიორგი გელაშვილი

გამომცემის კვარტალში ერთხელ  
გასაყიდად არ ვრცელდება  
ტირაჟი 125 000

ჟურნალში განთავსებული  
მასალის გამოყენება შეიძლება  
მხოლოდ ნეოსტუდიის  
თანხმობით

LOGISTICS GROUP  
Elene Sekhniashvili  
Ekaterine Ketiladze  
Nino Shioshvili  
Tatia Gvetadze  
George Babalashvili  
David Pavlenishvili  
George Gelashvili

Issued quarterly  
Not for sale  
Circulation 125 000

The materials published in the  
magazine cannot be used without  
the authorization of Neostudio

# ჩა აჩის

# ABOUT 4G LTE

4G, ანუ LTE – მეოთხე თაობის ინტერნეტკავშირი – მობილური სატელეკომუნიკაციო სამყაროს ევოლუციის მნიშვნელოვანი საფეხურია.

ოპერირების პირველივე დღიდან მაგთიკომის 2G ქსელი მობილურ ტელეფონებს შორის ხმოვან კავშირს უზრუნველყოფდა.

შემდეგ, მაგთიკომის 2.5G ქსელით მოკლე ტექსტური/მულტი-მედიური შეტყობინების სერვისების გამოყენება და პირველი უსადენო ინტერნეტკავშირით სარგებლობა გახდა შესაძლებელი.

მოგვიანებით, მაგთიკომის 3G ქსელის მეშვეობით ინტერნეტთან წვდომა კიდევ უფრო სწრაფი გახდა.

დღეს, მაგთიკომის უახლესი 4G ქსელი საშუალებას გვაძლევს ვისარგებლოთ უსწრაფესი ინტერნეტით და ერთდროულად განვახორციელოთ რამდენიმე ოპერაცია: ვიდეო-სთრიმიინგი, ფაილების მიმოცვლა, ინტერნეტ-ბრაუზინგი.

## 4G ქსელის უპირატესობა

მეოთხე თაობის ქსელის მთავარი უპირატესობა ინტერნეტკავშირის სისწრაფეა. მეოთხე თაობის ტელეფონით 4G დაფარვის ზონაში ინტერნეტი 7-ჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე 3G ქსელში.

4G ინტერნეტით აუდიო და ვიდეოფაილებს უმოკლეს დროში ჩამოტვირთავთ და სასურველ ინფორმაციას უსწრაფესად მოიძიებთ.

## ჩატობა 4G

მაგთიკომი, როგორც საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ლიდერი კომპანია, კვლავ პრიორიტეტად მიიჩნევს მილიონობით მომხმარებელს უახლესი ტექნოლოგიები შესთავაზოს და მათი ყოველდღიურობა კიდევ უფრო თანამედროვე და კომფორტული გახადოს.

სწორედ ამიტომ, მაგთიკომი უკვე გთავაზობთ საქართველოში 4G ქსელის ყველაზე ვრცელ, სანდო და ტრადიციულად ხარისხიან დაფარვას.

## როგორ მივიღოთ 4G მომსახურება

იმისათვის, რომ მაგთიკომის 4G ქსელით ისარგებლოთ, უნდა იყოთ მაგთის, ბალის ან ბანის აბონენტი, გქონდეთ 4G სიმ ბარათი და 4G ტელეფონი, რომლის საუკეთესო პირობებით შეძენა მაგთის ოფისებშია შესაძლებელი. 4G ტელეფონის მფლობელი აბონენტებისთვის სიმ ბარათის შეცვლა უფასოა.

4G – უსწრაფესი კავშირის სამყარო, მაგთის ხარისხით!

4G, the same as LTE or fourth generation internet connection, is an important stage in the evolution of mobile communication.

**From day one** of its operations, the 2G MagtiCom network ensured audio connection between mobile phones.

**Then**, thanks to the 2.5G MagtiCom network, SMS/MMS and the first wireless internet connection services became available.

**Later** the 3G MagtiCom network ensured an even faster internet connection.

**Today** the 4G MagtiCom network allows us to enjoy the fastest internet connection and perform multiple operations at the same time, such as video streaming, file exchange and online browsing.

## ADVANTAGES OF 4G NETWORK

The main advantage of the fourth generation network is fast internet connection. It is seven times faster on 4G than on 3G.

Downloading content, audio or video, and accessing the desired information with the 4G internet can be accomplished faster than ever.

## WHY 4G

As the leader of the Georgian mobile web, MagtiCom remains faithful to its priority of offering millions of users the latest technology and making sure that their everyday lives are comfortable and in sync with modern times.

This is exactly why MagtiCom offers you today the largest, reliable, and, as usual, quality 4G network.

## HOW TO SUBSCRIBE TO 4G SERVICE

To enjoy the MagtiCom 4G network, you need to be a Magti, Bali, or Bani subscriber, have a 4G SIM card and a 4G phone. Magti offices offer the best 4G phone deals. Owners of 4G phones can replace their SIM cards free of charge.

4G – the world of fastest connection with Magti quality!









# შანსი ყოველთვის არსებობს!



## There is always a **chance!**

ბეზომიერებზე ვიდაოთ რამდენიც გსურთ, მაგრამ სასა-  
ნაულები ხდება თუ არა, ეს თემა მაგთიკომში დიდი  
ხანია მოძველდა. 100 000 ლარი, ოროთახიანი ბინა m<sup>2</sup>-  
ში და პორშე პანამერას 2015 წლის მოდელი – მაგთიკომის  
ტრადიციულ გათამაშებას ახალი გამარჯვებულები ჰყავს.  
„მაგთიკომის წამახალისებელი გათამაშებისადმი ინტერესი  
ამჯერადაც დიდი იყო. სასიამოვნოა, რომ კვლავ გავახარეთ  
ჩვენი მომხმარებლები – გამარჯვებულები, მათი ოჯახის  
წევრები და მეგობრები,“ – აცხადებენ მაგთიკომში, სადაც  
კარგად იციან, რომ საჩუქრის გაცემა ისეთივე დიდი სია-  
მოვნებაა, როგორც მიღება.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებაში მონაწილეობის მისა-  
ღებად უნდა ყოფილიყავით მაგთის, ბანის, ბალის ან მაგთი  
ფიქსის აბონენტი და დარეგისტრირებისთვის უფასო ნო-  
მერზე 9595 დაგერეკათ. ამის შემდეგ ყოველ დარიცხულ  
სამ ლარზე გათამაშების ერთ ბილეთს მიიღებდით, იმ პერი-  
ოდში მაგთიზე დაპორტირებულ აბონენტებს კი საჩუქრად  
5 ბილეთი ერგოთ.

თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მა-  
გისტრატურის სტუდენტი, 23 წლის ლიკა სამადაშვილი  
მაგთიკომის გათამაშებაში ერთადერთი ბილეთით მონა-

**W**e can argue about taste as much as you please. The  
question of whether or not miracles happen, however,  
became redundant at MagtiCom long ago. 100,000  
GEL, a two-room apartment in the posh m<sup>2</sup> complex, and a 2015  
Porsche Panamera are the prizes claimed by the new winners of  
the traditional MagtiCom sweepstake. “Interest in the sweepstake  
was great as usual. We are excited about having made our  
customers, the winners, and their families and friends happy,” we  
hear at MagtiCom, where it is crystal clear that giving presents  
feels just as good as receiving.

As a reminder, participation in the sweepstake required  
contestants to be Magti, Bani, Bali or MagtiFix subscribers and to  
have registered by dialing the toll-free number 9595, after which  
each 3-GEL credit purchased in advance of service use would  
equal one sweepstake ticket.

Twenty-three-year-old Lika Samadashvili, an ISET  
(International School of Economics at Tbilisi State University)  
Master’s Degree Program student, had only one MagtiCom  
sweepstake ticket and yet she won an apartment. “My mother  
insisted, so I registered without even having a clue what the prize  
was. I teased her, telling her not to worry because they would call





წილებდა და ბინა მოიგო. „დედის დაჟინებული თხოვნით დავრეგისტრირდი, ისიც კი არ ვიცოდი რა თამაშდებოდა. დედას ვეხუმრე, არ ინერვიულო, დაგვირეკავენ-მეთქი და ზარიც გაისმა.“ ლიკამ დაფარული პრიზებიდან ერთ-ერთი ამოირჩია და იპოდრომთან M<sup>2</sup>-ის დასრულებულ კორპუსში ოროთახიანი ბინის მფლობელი გახდა. ლიკას დედა, ლალი დორეული, სიხარულს ვერ ფარავს და ემოციებს შემოკრებილ ჟურნალისტებს უზიარებს: „იმ დღის მერე თითქოს სამყარომ ახალი ფერები შეიძინა და უფრო გალამაზდა. სასწაულები ნამდვილად ხდება და ეს მინდა ხალხმა დაიჯეროს. ოთახნახევრიანში ვცხოვრობთ დილომში, ორ ადგილას ვმუშაობ ექთნად, სულ იმის ფიქრში ვარ ლიკას სწავლის ფული როგორ გადავიხადო. როცა ძალიან დავიღალე ამ ყველაფრით, მაშინ გაისმა ზარი და... ბინა მოვიგეთ. ეს ცხოვრება ამ მოგებად ღირდა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩემმა გარშემომყოფებმა ირწმუნეს, რომ ჩვენისთანა ხალხი იგებს გათამაშებებს. მე ბინა მოვიგე, ხალხმა – რწმენა. მაგთი სასწაულებს ახდენს!“

100 000-იანი ფულადი პრიზის მფლობელი 27 წლის ირაკლი მახარაძე გახდა, რომელიც ათ წელზე მეტია მაგთის ერთგული აბონენტი. ირაკლი ძველი მეზღვაურია და, მისი თქმით, ნაოსნობის დროს ამ ნომრით მამა სარგებლობდა ხოლმე. მერე დაოჯახდა, საოჯახო ბიზნესს მოჰკიდა ხელი და დღესდღეობით სასტუმრო „შავი ზღვის მარგალიტი“

us any minute, and they did!" Lika blind drew her prize, becoming the owner of a two-room apartment in the m<sup>2</sup> complex near the old Hippodrome. Lali Doreuli, Lika's mother, cannot hold back her excitement and, crowded by reporters, shares her emotions: "That day was a turning point that made our lives more exciting and beautiful. I want people to believe that miracles do happen!"







ბათუმის სტუმრებს მასპინძლობს. „ბევრ გათამაშებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არასოდეს მომიგია. იმ საღამოს წვეულება გექონდა სახლში და ისე გამოვიდა, რომ სტუმრებთან ერთად აღვნიშნე მოგება. მართალი გითხრათ, სწორედ ფულადი პრიზი მინდოდა ყველაზე მეტად. რამდენიმე თვის წინ ხოფას ბაზრობაზე ხანძარი რომ გაჩნდა, სამი მაღაზია დაგვეწვა და ვალები დაგვრჩა. პრიზის ნაწილით დავალიანებებს გავისტუმრებთ, სხვა საჭიროებებიც ბევრია. დიდი მადლობა მაგთის ჩვენი ასე გახარებისთვის.“

ყველაზე საოცრებო პრიზი – პორშე პანამერა – სულ ბოლოს გათამაშდა „იმედის“ პირდაპირ ეთერში და იგი რუსთაველ მერაბ ბარნაბიშვილს ერგო: „ხმა ჩამიწყდა სიხარულისგან, 52 წლის ვარ და ასეთი ახალი წელი არასოდეს გამთენებია. სამარშრუტო ტაქსიზე ვმუშაობ. მოხდა ისე, რომ ყველაზე სასურველი პრიზი მე შემხვდა. საოცარი განცდაა! მინდა მთელ საქართველოს ბედნიერება ვუსურვო და მაგთის მადლობა გადავუხადო ასეთი სიხარულისთვის.“

რუსთაველის გამზირზე მაგთიკომის ოფისი დაჯილდოების დღეს აბონენტებსაც ემსახურებოდა და გამარჯვებულებსაც მასპინძლობდა. ტაბლოზე 073 აინთო და ცერემონიალის ერთერთი მაყურებლის მომსახურების რიგი დადგა. იქნებ სწორედ ისაა შემდეგი, ვისაც მაგთიკომი ოცნებას აუსრულებს.

We lived in a room and a half in Dighomi. I was torn between two jobs, worried to death about Lika's tuition fee. I felt I could not take it any longer, and that's exactly when the phone rang to tell us we had won an apartment. It was worth living for this prize. What's equally important is that those around us have come to believe that ordinary people like us can win sweepstakes. Consequently, I won an apartment, and so other people gained confidence to win. MagtiCom performs miracles."

The 100,000 GEL monetary prize went to Irakli Makhharadze, twenty-seven years of age, a loyal Magti subscriber for over ten years and a retired seafarer. When at sea, he would let his father use his phone number. Then he got married and established a family business, the Black Sea Pearl Hotel in Batumi. "I tried my luck in many sweepstakes, yet to no avail. I was at home that night, hosting a reception, so we celebrated winning the prize in the company of our guests. Frankly, a monetary prize was exactly what I wanted most. We lost three stores in the Hoffa market fire a few months ago, so we were facing debts, which we will cover with a portion of the prize money. There are other needs to address, too. Thank you for making us happy."

The most desirable prize, a Porsche Panamera, was awarded last, live on Imedi TV, to Merab Barnabishvili from Rustavi. "I was so overjoyed that I lost my voice. I am fifty-two, and that was the best New Year's Day in my life. I am a minibus driver. I happened to have won the most desirable prize. It feels amazing! I wish happiness to all of Georgia. I am so grateful to Magti for this joy!"

On the day of the awards ceremony, the MagtiCom Office on Rustaveli Avenue served customers and hosted the winners at the same time. Number 073 lights up on the electronic display, which means that it is time to serve yet another viewer of the awards ceremony, who might, just might, be next to have his or her dream come true thanks to MagtiCom.



მაგთი  
MAGTI



htc  
one

Samsung  
GALAXY  
ALPHA

Samsung  
GALAXY Note 4

HUAWEI  
Ascend P7

Samsung  
GALAXY S5



1 წელი იხსიანები სარეზერვო

**4G** LTE სმარტფონები  
განვადებით, მაგთიკომის ოფისებში

[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

# უ ა ხ ც ე ს ი

# 4G სმარტფონები მაგტიკომში

მსოფლიო სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაშია. პროცესები ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რომ ერთი მიმართულების მიღწევები მეორის სრულყოფას განაპირობებს. შედეგად, სამყარო სხვადასხვა „ჭკვიანი“ მონყობილობითაა გაჯერებული, რაც კომუნიკაციას უფრო მარტივსა და მიმზიდველს ხდის.

ტექნოლოგიური ბრენდების ოფიციალური წარმომადგენლობებისათვის საქართველოს ბაზარი, ერთი შეხედვით, საკმაოდ მცირეა. თუმცა, ქართველები ტექნიკის უახლესი მიღწევების დიდი მოყვარულები არიან და ხშირად პრემიუმ კლასის სმარტფონებს ყიდულობენ. სწორედ ამიტომ მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების ოფიციალური წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ წარმატებულად საქმიანობენ. მათ შორისაა SAMSUNG, HTC და HUAWEI, რომლებიც გარკვეული სახის ტექნიკის, განსაკუთრებით სმარტფონების წარმოებაში, გლობალურ ბაზარზე ლიდერთა შორის არიან.



## Newest 4G Smartphones at MagtiCom

The world is in an era of rapid technological development. Different processes are so interwoven that achievements in one direction ensure improvements in another. As a result, the world is overflowing with diverse smart devices, which makes communication much easier and attractive.

At first glance, the Georgian market seems quite small to official representatives of technology brands. However, Georgians are really into the latest technological achievements and often buy premium smartphones, which is why official representatives of large technology companies are quite successful in our country. Notably, Samsung, HTC and Huawei are global leaders in the production of certain types of devices, including smartphones.

Today the MagtiCom service network offers a diversity of 4G LTE (fourth generation) smartphones. Special showrooms are arranged in our offices to display the latest smartphone models.

Thanks to the concept of showrooms, our customers can be





დღეს მაგთიკომის მომსახურების ქსელში 4G LTE (მეოთხე თაობის) სმარტფონების უდიდესი არჩევანია. ოფისებში სპეციალურად მოწყობილი შოურუმები – სპეციალური სტენდები, სადაც სმარტფონების უახლესი მოდელებია წარმოდგენილი.

შოურუმების კონცეფცია საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებელს ერთ-ერთმა პირველმა თავად შეაფასოს უახლესი ტექნოლოგიები – ტელეფონების დახვეწილი დიზაინი, მათი ახალი მულტიმედიაური შესაძლებლობები და სერვისები.

დღეისთვის მაგთიკომში SAMSUNG-ის, HUAWEI-ს და HTC-ს ლიცენზირებული ტელეფონებია წარმოდგენილი, რომელთა შექმნა საბანკო განვადების თუ ერთიანი გადახდის საუკეთესო პირობებითაა შესაძლებელი. მაგთიკომის ოფისებში 12 და 18-თვიანი განვადება მოქმედებს. აქ შექმნილ ტელეფონებზე ერთნაირი გარანტიაც ვრცელდება.

მაგთიკომის სპეციალური აქციის პირობებით სმარტფონის შექმნისას, მომხმარებელი საჩუქრად ერთნაირ ინტერნეტს მიიღებს.

გიორგი გამყრელიძე



first to evaluate personally the latest technology, refined phone design, new multimedia opportunities and services.

Today MagtiCom features Samsung, Huawei and HTC licensed phones. Excellent terms for bank financing and single lump payments are available. MagtiCom offices offer 12 and 18-month financing deals. Phones purchased with us come with a 12-month warranty.

A special deal from MagtiCom offers smartphone buyers one year of free internet connection.

By GIORGI GAMKRELIDZE

# ვაჟა ორბელაძის რაციონალური არქიტექტურა

ცოტა ხნის წინ მაგტი კლუბში არქიტექტორ ვაჟა ორბელაძის ალბომის პრეზენტაცია მოეწყო. ეს უკვე მეთექვსმეტე ალბომია, რომელიც მაგტიმ ქართული კულტურის მხარდასაჭერად გამოსცა. არქიტექტურა, დიზაინი, ფერწერა, გრაფიკა – ახლადგამოცემულ ალბომში წარმოდგენილი პროექტები შემოქმედის რაციონალურობის და ალღოს იდეალური ნაზავია.

FAIRLY RECENTLY, A PHOTO BOOK FEATURING WORKS BY ARCHITECT VAZHA ORBELADZE WAS PRESENTED AT MAGTI CLUB. IT IS THE SIXTEENTH PHOTO BOOK PUBLISHED BY MAGTI TO SUPPORT GEORGIAN CULTURE. THE RECENT PROJECTS OF THE ARTIST, INCLUDING ARCHITECTURE, DESIGN, PAINTING AND GRAPHIC ARTS, ARE A PERFECT COMBINATION OF HIS RATIONALITY AND SKILLS.



## VAZHA ORBELADZE'S Rational Architecture

წარმოდგინეთ იმერული სახლი მაღალი სარკეებითა და შავი, პრიალა ლაქით დაფარული ავეჯით, მუსიკალური ზარდახშებით, გრამაფონით, სანერი თუ ბანქოს სათამაშო მაგიდებით, უჯრებში სხვადასხვა ზომის ბინოკლებით და წიგნის ფურცლების საჭრელი დანებით. ამ ნივთებს შორის კი ყველაზე ჯადოსნური რამ ევროპის ქალაქების სტერეოსკოპული ფოტოსურათებია, რომლებიც ოპტიკური ხელსაწყო მეშვეობით სამგანზომილებიან პანორამებად გარდაიქმნება. სოფელ სვირში გატარებული არდადეგები ვაჟა ორბელაძისთვის ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე ცხადი მოგონებაა, ისევე როგორც მანგლისის სიონის ნახვით მიღებული პირველი არქიტექტურული შთაბეჭდილება. იმერულ სახლსა და საკუთარ არქიტექტურულ ესთეტიკას შორის თითქოს პირდაპირ კავშირს ვერ ხედავს,

Imagine an Imeretian house with tall mirrors and black lacquered furniture, music boxes, phonographs, desks and gambling tables, binoculars of different sizes and letter openers in the drawers. The most mesmerizing items among them, however, are stereoscopic pictures of European cities which, by means of an optical device, are transformed into three-dimensional panoramas. Holidays in the village of Sviri, similar to his first architectural impressions of the Manglisi Sioni Cathedral, are reflected in some of the most vivid memories from Vazha Orbeladze's childhood. He does not see any apparent connection between the Imeretian house and his own architectural aesthetics, though he does admit that his passion for antiques has not faded. "I love traces of the past. Every person must communicate with his or her roots; it is a mandatory precondition for self-awareness."





სახელოსნოში  
AT THE STUDIO

მაგრამ აღიარებს, რომ სიძველეებისადმი ტრფობა დღემდე შემორჩა: „მე მიყვარს წარსულის ანაბეჭდი. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარ ფესვებთან ურთიერთობა, ეს თვითშეგნების აუცილებელი პირობაა.“

ვაჟა ორბელაძეს სახლში ვესტუმრეთ და ახლადგამოცემული ალბომის შესახებ საუბარი სწორედ სიძველეებისადმი მისი დამოკიდებულებით და სარესტავრაციო პროექტებით დავიწყეთ. საყვარელი ქალაქის ქუჩებში სეირნობისას ის, რაც ჩვენში ნოსტალგიას, აღფრთოვანებას ან გაღიზიანებას იწვევს, ვაჟა ორბელაძისთვის კანონზომიერების ვრცელი ჯაჭვია. „რესტავრირებული შენობების აღქმა, მიღება ან უარყოფა ფსიქოლოგიური მომენტია. ძველი შენობა ნოსტალგიას იწვევს ადამიანში, თვალის მიჩვეულია თითქოს. როდესაც შენობას პირვანდელ სახეს უბრუნებ, რა თქმა უნდა, ეს უკურეაქციას იწვევს. მართალია, ხელოვნურადაც

We visited Vazha Orbeladze at his home and chose the architect's attitude toward antiques, along with his restoration projects, to start a conversation about his newly published photo book. In Vazha Orbeladze's mind, things that arouse nostalgia, excitement or irritation in us as we walk down the streets of our beloved city are parts of a long logical chain. "The perception and acceptance of restored buildings, or the rejection thereof, are psychological notions. As a familiar site, an old building arouses nostalgia. Restoring a building to its original form triggers a backlash, of course. Naturally, it is possible to employ artificial means to make a building look older, but that is even worse, I believe. You should do what seems natural and sensible."



თბილისი. მიიღანი. რეკონსტრუქცია  
TBILISI. MEIDANI.



თბილისი. მიიღანი. რეკონსტრუქცია. საერთო ხედი  
TBILISI. MEIDANI. RECONSTRUCTION. GENERAL VIEW



შეიძლება დაძველება, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ეს უფრო ყალბია. უნდა გააკეთო ის, რაც ბუნებრივი და ლოგიკურია.“

ვაჟა ორბელაძის თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდთან ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, როდესაც ერეკლე მეორის ქუჩის რესტავრაციის პროექტში მიიღო მონაწილეობა. 2005-2012 წლებში კი ამას თბილისის სხვადასხვა უბნების, სიღნაღის, ბათუმის, მესტიის და ყვარლის რეაბილიტაცია მოჰყვა. ვაჟა ორბელაძის არქიტექტურა რაციონალური და ლოგიკურია, თანაბრად ეფუძნება ცოდნასა და შემოქმედებით ალღოს. მრავალმხრივი საქმიანობა და მრავალწლიანი გამოცდილება შედარების საფუძველს აძლევს და აღნიშნავს, რომ რესტავრაცია მეტად საგულისხმო და უფრო საპასუხისმგებლო საქმეა, ვიდრე ინდივიდუალურ პროექტზე მუშაობა. „ძველი შენობების აღდგენისას მეტი ყურადღებაა საჭირო. მხოლოდ შენ თავზე არ ხარ დამოკიდებული. ბევრი სხვა ფაქტორია, რაც საბოლოო შედეგს განსაზღვრავს.“

სარესტავრაციო პროექტებამდე იყო მაკდონალდის რესტორანი თბილისში. 1998 წელს ვაჟა ორბელაძემ და მისმა ვაჟმა ზაზამ ქალაქის მთავარი არქიტექტორის სამსახურს საკონკურსო პროექტი წარუდგინეს და გაიმარჯვეს კიდევ. ამას მოჰყვა საქმიანი ვიზიტი ბუდაპეშტში აღმოსავლეთეუროპული გამოცდილების და სტანდარტების გასაცნობად. იქ კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ მაკდონალდისთვის მთავარი შენობის არქიტექტურული სისადავე იყო. უპირატესობა გახსნილ, შემინულ ფასადებს და ნათელ ფერებს ენიჭებოდა, ორბელაძეების პროექტი კი არ ეფუძნებოდა მაკდონალდის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს. ის არქიტექტურულ კონტექსტზე იყო მორგებული. ამის გამო შენობის არქიტექტურაში ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული კედლები, სპილენძით შემოსილი გუმბათი და სვეტები გაჩნდა, რაც ზემელის შენობას უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე მაკდონალდის სტანდარტებს. „მაკდონალდს კომერციული ინტერესები აქვს. ყოველგვარ სენტიმენტს უკუაგდებს. ამიტომ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი შენობები



თბილისი. რიტუალების სახანსლო  
TBILISI. WEDDING PALACE

Vazha Orbeladze's cooperation with the Foundation for Preservation of Cultural Heritage started as early as 2001, when he took part in the Erekle II Street restoration project. Then, between 2005 and 2012, there were similar projects in different districts of Tbilisi, Sighnaghi, Batumi, Mestia and Kvareli. Vazha Orbeladze's architecture is rational, logical, and based equally on knowledge and skills. Orbeladze's multifarious activities and vast experience enable him to compare restoration and individual architectural projects and assert that the former is much more significant and involves greater responsibility. "When restoring old buildings, more attention is required. You can rely only on yourself, and there are many other factors that define the ultimate outcome."

Before restoration projects, however, there was McDonald's in Tbilisi. In 1998, the Office of the Tbilisi Chief Architect announced an architectural design competition. After submitting their project and winning, Vazha Orbeladze and his son Zaza traveled to Budapest to familiarize themselves with Eastern European experience and standards. While in Europe, Orbeladze became even more convinced that the future McDonald's building in Tbilisi required unpretentious architecture and simplicity, glass facades and light colors. Designed to harmonize with the surrounding architectural context, Orbeladze's project was in stark contrast to McDonald's standardized requirements. Bolnisi limestone walls and a copper-clad dome and columns were added to the architecture of the building. As a result, it matched the surrounding context rather than meeting McDonald's standards. "McDonald's has its commercial interests. The company does not tolerate any resemblance of sentimentality. This is why it has more or less identical facilities across the world. In our case, the company made an exception and took into account the local context." Father and son Orbeladze, representatives of two



თბილისი. რუსთაველი „მაკდონალდსი“  
რუსთაველის მოედანზე  
TBILISI. MCDONALD'S RESTAURANT ON RUSTAVELI SQUARE



აქვს ყველა ქვეყანაში. ჩვენს შემთხვევაში თვითონ მაკდონალდსმა დაუშვა გამონაკლისი და კონტექსტი გაითვალისწინა.“ კონტექსტის აღქმა და სტანდარტები კი ერთნაირად ესმოდა ორი თაობის არქიტექტორს. როგორც ბატონი ვაჟა აღნიშნავს, პროექტზე მუშაობისას მამა-შვილს წინააღმდეგობა არ ჰქონია, ამიტომაც ამ შენობამ ყველა თაობის მოწონება დაიმსახურა.

მაკდონალდსის შენობამდე გაცილებით ადრე იყო რიტუალების სასახლე, რომლის აშენების იდეაც არქიტექტორ ვიქტორ ჯორბენაძეს ეკუთვნოდა. სარიტუალო დარბაზი ვაკის პარკის ნაცვლად ორთაჭალაში 1985 წელს აიგო, მომდევნო წელს კი პროექტის ავტორები ვაჟა ორბელაძე და ვიქტორ ჯორბენაძე რუსთაველის პრემიაზე წარადგინეს. ბატონი ვაჟა ახლაც გატაცებით იხსენებს პროექტზე მუშაობის პროცესს და მივლინებას ლიტვაში ფერადი ვიტრაჟების შესარჩევად და ჩამოსასხმელად. იგონებს, როგორ გადაწყდა კედლების თეთრად შეღებვა იმისათვის, რომ ვიტრაჟებიდან არეკლილი შუქი შენობის მთავარი ხასიათისა და შინაარსის განმსაზღვრელი ყოფილიყო. ზურაბ ნიჟარაძის ფერწერა, გია ჯაფარიძის სკულპტურა, გენა ეკიზაშვილის ვიტრაჟები – სასახლის არქიტექტორის შეხედულებით სწორედ ასეთი ინტეგრირებული დარგია არქიტექტურა. თუმცა დასძენს, რომ თანამედროვე არქიტექტურამ ეს თვისება დაკარგა, სახვითი ხელოვნების დარგებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს და თანდათან გართულდა მათი ჩართვა არქიტექტურულ პროექტებში.

სახვითი ხელოვნებისადმი ვაჟა ორბელაძის მხურვალე ინტერესი კი არასოდეს განელეზულა. ზედმიწევნით კარგად იცნობს აკვარელის ტექნიკას. „სანამ ქალღმერთი გაშრება, უნდა მოასწრო ძირითადი ნახატის შესრულება. ძირითადი



თბილისი. სახლი მარჯანიშვილის მოედანზე.  
რეკონსტრუქცია  
TBILISI. HOUSE ON MARJANISHVILI SQUARE. RECONSTRUCTION

generations of architects, shared the same view when it came to context perception and relevant standards. According to Vazha, they had no disagreements. This is why the building gained recognition among all generations.

Long before the McDonald’s facility there was the Palace of Wedding Ceremonies in Tbilisi. Its design was conceived by architect Victor Jorbenadze. In 1985, the Palace of Wedding



თბილისი. „მაგთის“ ოფისის შენობა ალმაშენებლის გამზირზე  
TBILISI. OFFICE BUILDING OF MAGTI ON AGHMASHENBELI AVENUE





სიღნაღი. პანორამა. რეკონსტრუქცია  
SIGHNAGHI. PANORAMA. RECONSTRUCTION

ლაქები და შუქ-ჩრდილები უნდა დაასრულო.“ მისი პორტფოლიო ნიგნის გრაფიკასაც მოიცავს, გაფორმებული აქვს არაერთი საბავშვო ნიგნი, შექსპირის ორტომეული, პაბლო ნერუდას კრებული და სხვა გამოცემები.

ვაჟა ორბელაძის ნარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა ისაა, რომ მისი არქიტექტურული ლოგიკა არასოდეს ეფუძნება მოძველებულ დოგმებსა და კლიშეებს. სამოციანელთა თაობის არქიტექტორი მუდამ მზადაა სიახლეების მისაღებად, თუმცა იქვე დასძენს, რომ არქიტექტორისთვის მთავარი მაინც რეალობის შეგრძნებაა. ახალი თაობის უპირატესობად მათ ინფორმირებულობას და ფართო თვალსაწიერს

Ceremonies was built in Ortachala instead of Vake Park. The following year, the authors of this project, Vazha Orbeladze and Victor Jorbenadze, were nominated for Rustaveli Awards. Overwhelmed with excitement, Vazha recalls working on the project and traveling to Lithuania to select and vitrify the stained glass components. He remembers choosing the white color for the walls, so that light would reflect off the stained glass and define the character of the structure. Orbeladze believes that architecture is an integrated art. This is why the palace's architecture incorporates Zurab Nizharadze's paintings, Gia Japaridze's sculptures and Gena Ekizashvili's stained glass compositions. At the same time, he points out that modern architecture has lost this quality. As visual arts continue to change, it becomes harder to include them in architectural projects.



სიღნაღის რატუხა. რეკონსტრუქციის ესკიზი  
SIGHNAGHI CITY HALL. RECONSTRUCTION SKETCH





ბათუმი. საცხოვრებელი ნაგებობა „მიქსი“.  
პროექტის ესკიზი  
BATUMI. DWELLING BUILDING "MIX".  
PROJECT SKETCH



ბათუმი. საცხოვრებელი ნაგებობა „მიქსი“. ფასადი  
BATUMI. DWELLING BUILDING "MIX". FACADE

Vazha Orbeladze's great interest in visual arts has never waned. He is closely familiar with the watercolor method of painting. "You have to finish working, complete all stains and shades, before the paper dries." The artist's portfolio includes graphic artworks as well. He has illustrated a number of children's books, a two-volume edition of Shakespeare's works, a compilation of Pablo Neruda's poems and other works.

One of the main reasons behind Vazha Orbeladze's success is that his architectural logic never stems from outdated dogmas and clichés. A member of the generation of architects who emerged in the 1960s, he remains open to innovations, but emphasizes at the same time that architects must keep in touch with reality. He names information and open-mindedness as the main advantages of younger generations. On the other hand, he warns against overconfidence due to raw information overload. "Time passes by so fast and change happens all around. New generations reject obsolete aesthetic norms and self-assertion often builds upon this rejection. Although working seems more comfortable when you're guided by dogmas, they limit you so badly that you cannot wait to break free. Intuition may be more valuable to artists than mandatory norms and clichés."

He uses the example of his neighborhood, Pikris Gora, to discuss the overall architectural appearance of modern-day Tbilisi: "Architecture reflects social life, the wishes and needs of the public, like a mirror. The main characteristic of modern-day Tbilisi architecture is *greed* in that it strives for the greatest possible profit and mainly targets prestigious areas. We use old, outdated



ბათუმი. სახლი გუმბათით. ფასადი  
BATUMI. HOUSE WITH DOME. FACADE





ბათუმი. პიაცა  
BATUMI. PIAZZA



ასახელებს და ამავე დროს, მოზღვავებული, კრიტიკულად აუთვისებელი ინფორმაციის ნაკადის გამო გადაჭარბებული სითამამის საფრთხეზეც საუბრობს. „დრო სწრაფად იცვლება. ახალი თაობა მოძველებულ ესთეტიკურ ნორმებს აღარ ითვალისწინებს და ხშირად სწორედ მათ უარყოფაზე გადის თვითდამკვიდრების პროცესი. მართალია, მუშაობისას დოგმებით უფრო კომფორტულად გრძნობ თავს, მაგრამ ეს ისეთ ჩარჩოებს და არტახებს გიქმნის, გინდა გათავისუფლდე. შემოქმედისთვის, შესაძლოა, ხშირად ინტუიცია უფრო ღირებული აღმოჩნდეს, ვიდრე სავალდებულოდ მიჩნეული ნორმები და კლიშეები.“

თანამედროვე თბილისის არქიტექტურულ იერ-სახეზე საუბარს საკუთარი უბნით, ფიქრის გორით იწყებს და აღ-



ბათუმი. კოლდინგ „ნუროლის“ საცხოვრებელი სახლი.  
პროექტის ესკიზი და ფასადი  
BATUMI. DWELLING HOUSE OF "NUROL" HOLDING.  
PROJECT SKETCH AND FACADE





კალათა ყურძნით. 1971.  
ქალაქი. აკვარელი. 47X36  
BASKET WITH GRAPES. 1971.  
WATERCOLOR ON PAPER. 47X36

ნიშნავს: „არქიტექტურა სოციალური ცხოვრების სარკეა, რომელშიც საზოგადოების სურვილები და მოთხოვნები ირეკლება. დღევანდელი თბილისური არქიტექტურის მთავარი მახასიათებელი „სიხარბეა“, რაც მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებას და ძირითადად პრესტიჟული სივრცის ათვისებას გულისხმობს. ჩვენ ძველი, დრომოჭმული ტექნოლოგიებით ვცდილობთ თანამედროვე არქიტექტურის შექმნას, რაც არასასურველ შედეგებს იძლევა. დღევანდელი არქიტექტურული სურათი ჭრელი და ეკლექტიკურია. ასეა ყველგან, მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს დროებითი და გარდამავალია.“ მუდმივი და გარდაუვალი კი ვაჟა ორბელაძისთვის წიგნია. „წიგნთან ურთიერთობა ჩემთვის ბევრად მოსახერხებელი და ნაყოფიერია, ვიდრე ინტერნეტით ინფორმაციის მოძიება.“

მაგთის მიერ გამოცემული ალბომი, იმედია, სწორედ ასეთი წიგნი იქნება ახალი თაობის პროფესიონალებისა და სტუდენტებისთვის, რომელთან ურთიერთობაც დაუსრულებლად გამდიდრებს და ახალ შესაძლებლობებს გიხსნის. ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია ღირსების, ბრწყინვალეობის, წმინდა გიორგის ორდენებით; საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი და თბილისის საპატიო მოქალაქეა; მინიჭებული აქვს რუსთაველის სახელმწიფო პრემია, ყველაზე საინტერესო პროექტებს მომავალში ხედავს. რატომაც არა!

რუსუდან რუხაძე



ელიჩკას ზამთარი. 1982. გუაშო. 28X39  
WINTER OF ELICHKA. 1982. GOUACHE ON CARDBOARD. 28X39



გიორგი წერეთელი. „ირმის ნახტომი“. ყდა. 1979.  
ქალაქი. გუაშო. 23X35  
GIORGI TSERETELI. DEER LEAP. COVER. 1979.  
GOUACHE ON PAPER. 23X35

technology to create examples of modern architecture, and the consequences look very bad. Today's architecture is gaudy and eclectic all over the world and yet this trend is temporary and transient." On the other hand, books are lasting and eternal in Orbeladze's opinion: "I find dealing with books much more comfortable and productive than seeking information online."

We hope that the photo book published by Magti will mean the same to young professionals and students, benefiting them and providing new opportunities. Vazha Orbeladze, a winner of Honor, Excellence, and Saint George Awards, Honorable Architect of Georgia and Honorary Citizen of Tbilisi, and Shota Rustaveli State Prize winner, foresees yet greater projects in the future. Why not?

By RUSUDAN RUKHADZE





ბოლო შტრიხები ზუსტდება, პირდაპირი ეთერი ერთ საათში იწყება. ვარსკვლავები და მათი პარტნიორები კოსტიუმებს ირგებენ, ფიურის წევრები საგრემოროში ემზადებიან, პროდიუსერების ტელეფონები არ ჩერდება, რეჟისორი და მისი გუნდი თითოეულ დეტალს ამოწმებს – განათება, კადრი, კამერა, დეკორაცია... ბროლის ქალებით განათებული თვალისმომჭრელი პავილიონი ხალხით ივსება. პროექტის ერთ-ერთი თანამშრომელი მაყურებელს

The final touches are applied. A live broadcast starts in an hour. The stars and their partners are donning their costumes, the members of the judging panel are getting ready in the dressing room, and the producers' phones are off the hook, while the director and his crew scrutinize each detail, such as lighting, scenery, camera, props and so on. People start to swarm into the glittering studio illuminated by crystal chandeliers. One of the project staffers urges the audience to be cheerful and at ease. The crowd is more than happy to comply. Three, two, one, and we are on live television!

After Rustaveli Theater and the Tbilisi Circus, a Georgian version of the British project *Dancing with the Stars* moved to the premises of the *Imedi* television station, into a studio built specially for this show. I observe this artistic chaos from a distance, realizing exactly how much effort has been invested in this project, the leader of television ratings for the fifth year in a row and a favorite with the viewers. One may say, however, that I was lucky. While the *Imedi* TV audience enjoys a perfect show running like clockwork on television, I can indulge myself in wandering backstage, browsing through the dressing rooms and seeing what the viewers are not allowed to see.

Singer Zura Manjavidze, the winner of the fifth season, is dressed in jeans at first, though later he will put on a reddish shirt and a black bowtie. Once in the finals, he no longer worries about remembering every move. Yet things were totally different at the beginning of the project. He admits to me not being able to memorize his dance steps, which made him quite wired. Dancing in the finals seemed impossible to him back then: "I was having





აქტიურობისაკენ მოუწოდებს, მაყურებელიც ხალისით მიჰყვება მითითებებს. სამი, ორი, ერთი – პირდაპირ ეთერში ვართ!

რუსთაველის თეატრის სცენის და ცირკის არენის შემდეგ, ბრიტანული პროექტის ანალოგმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ წელს ტელეკომპანია „იმედის“ ტერიტორიაზე, სპეციალურად ამ შოუსთვის აგებულ პავილიონში გადაინაცვლა. შორიდან ვადევნებ თვალს შემოქმედებით ქაოსს და ზუსტად ვხვდები, რა შრომა დევს იმ პროექტის უკან, რომელიც მეხუთე სეზონია სატელევიზიო რეიტინგების ერთ-ერთი ლიდერი და მაყურებლის ფავორიტი. თუმცა, შეიძლება ითქვას, მე გამიმართლა. სანამ ტელეკომპანია „იმედის“ მაყურებელი უკვე გამზადებულ, ათიანზე შესრულებულ შოუს უყურებს ტელეეკრანზე, მე შემიძლია კულინები, საგრძნობოები მოვიარო და ვნახო ის, რაც მათი თვალისთვის დამალულია.

მომღერალ ზურა მანჯავიძეს, ახლა უკვე მეხუთე სეზონის გამარჯვებულს, ჯერ ჯინსი აცვია, თუმცა ცოტა ხანში მონითალო პერანგი და შავი ბაფთა უნდა მოირგოს. საფინალო ტურში აღარ დარდობს იმაზე, რომ შესაძლოა რომელიმე ილეთი დაავიწყდეს. არადა, პროექტის დასაწყისში სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე. მეუბნება, ვერაფრით ვიმახსოვრებდი ილეთებს და ამის გამო ძალიან ველავადი ხოლმეო. არც იმას ელოდა, რომ ფინალში მოუნედა გამოსვლა: „ძალიან გამიჭირდა საწყის ტურებში ცეკვა. ელვისებური სისწრაფით მავიწყებოდა ილეთები. არადა, ვოცნებობდი, ქართულ ტურამდე მაინც მიმეღწია. ამ პროექტმა საკუთარ ძალებში დამარწმუნა. ბევრმა ადამიანმა დაინახა, რომ ცეკვა მხოლოდ მეგობრების წრეში კი არა, პროფესიულ დონე-



a hard time at first. Dance moves kept escaping me faster than a cat clapping chain lightning. On the other hand, I was dreaming about making it at least to the Georgian dance round. This project has taught me to believe in myself. Many people have witnessed that I can dance not only in a close circle of friends, but also at a professional level. My partner, Mzia Orvelashvili, certainly deserves the lion's share of credit for my success. What makes me happy, however, is that many people call me and tell me that







ზეც შემიძლია. ამაში განსაკუთრებული წვლილი, რა თქმა უნდა, ჩემს პარტნიორ მზია ორველაშვილს მიუძღვის. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ბევრი ადამიანი მირეკავს და მეუბნება, რომ მათ ცეკვის სურვილი გავუჩინე. თითქოს სტიმული მივეცი ადამიანებს. ბევრისთვის ეს მისაბადი მაგალითი აღმოჩნდა, რაც ძალიან მახარებს, – მეუბნება ზურა. დიდხანს აღარ ვაყოვნებ, რადგანაც სულ მალე სცენაზე უნდა გავიდე.

I have inspired them to dance. It seems I do motivate them. To many, my success looks worth imitating, which truly makes me happy,” Zura tells me. I decide against keeping him any longer, as he is about to perform.

Singer Nodiko Tatishvili, another finalist of the project, is trying to relax his legs before it is his turn to dance. Dressed in workout clothes, he snuggles in a cushiony bean bag. Nodiko was invited to all four of the previous seasons, yet he refused to take part in the show. “I felt too embarrassed to dance,” he tells me. “I thought I could not dance. But now, in this fifth season, something has changed inside me. When I agreed to participate in the project, I knew deep in my heart that I could dance,” Nodiko adds and reveals his request in exchange for accepting the invitation. “Two years ago, when *Melodies of Vera Quarter* was staged, I danced with Juliana in one of the scenes. That was my request. I would join the project only with Juliana Bargnar and no one else. I knew that dancing with her would free me of my self-consciousness, and that’s exactly what happened. The higher points and the more compliments you receive, the more you want to dance better and better.”

Sopo Shevardnadze is sitting in a stylist’s chair, in front of a mirror. The show will go live in a mere thirty minutes. A few years ago, Sopo was a finalist on the Russian *Dancing with the Stars* show. Today she is a member of the panel for its Georgian version. She believes she is the most merciful among the judges. At this point, however, with the final round right around the corner,







ცეკვამდე ფეხებს ასვენებს პროექტის კიდევ ერთი ფინალისტი, მომღერალი ნოდინო ტატიშვილი. სპორტული ფეხსაცმელი აცვია და ფუმფულა „პუფშია“ მოკალათებული. ნოდინოს პროექტიდან მიწვევა წინა ოთხივე სეზონზე ჰქონდა, თუმცა შოუში მონაწილეობას არ თანხმდებოდა. „ცეკვის კომპლექსი მქონდა. მეგონა, ცეკვა არ შემიძლო. მით უმეტეს ისე ცეკვა, რომ ეს ძალიან ბევრ ადამიანს ენახა. მაგრამ, აი, მეხუთე სეზონზე რაღაც შეიცვალა ჩემში. როცა პროექტში მონაწილეობას დავთანხმდი, გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ მე ამას შევძლებდი,“ – მეუბნება და იმ პირობას მიმხელს, რის გამოც პროექტში მონაწილეობას დათანხმდა: „ორი წლის წინ, როცა „ვერის უბნის მელოდიები“ დაიდგა, ერთ-ერთ სცენაში ჯულიანასთან ერთად ვიცეკვე. ჩემი პირობაც ეს იყო. მხოლოდ და მხოლოდ ჯულიანა ბარგნართან ერთად მივიღებდი პროექტში მონაწილეობას. ვიცოდი, რომ მასთან ცეკვისას უხერხულობისგან გავთავისუფლდებოდი. ასეც მოხდა. დიდი აზარტი აქვს ამ პროექტს. რაც უფრო მაღალ ქულებს იღებ, რაც მეტ დადებით შეფასებას ისმენ, მით უფრო გინდება უკეთ და უკეთ იცეკვო.“

სოფო შევარდნაძე სტილისტთან სარკის წინ ზის. პირდაპირი ეთერის დანყებას ნახევარი საათილა აკლია. რამდენიმე წლის წინ სოფო თავად იყო რუსეთში „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ ფინალისტი. ახლა ის ქართული ანალოგის ფიურის წევრია. მეუბნება, რომ ფიურის წევრთაგან ის ყველაზე ლმობიერია, მაგრამ ახლა უკვე იმასაც ხვდება, რომ საფინალო ტურში ზედმეტად მკაცრი არაა, მაგრამ ძალიან ზუსტი უნდა იყოს. პროექტის ფიურის წევრობას კი დიდი სიამოვნებით დათანხმდა: „ვიცი, როგორი რთულია ეს

she realizes that she has to be meticulous, though maybe not too tough. As for serving on the panel, she was only too happy to accept the offer. “I know how hard it is and how much work behind the scenes this beautiful show takes. When I first received an offer to be on the panel, I accepted it just out of curiosity.







ყველაფერი და რამხელა შრომა და ნერვიულობა იმალება ამ ლამაზი შოუს მიღმა. როცა პირველად შემომთავაზეს ფიურის ნევრობა, „სპორტული ინტერესის“ გამო დავთანხმდი. მაინტერესებდა, როგორ მიიღებდა საქართველო ამ პროექტს, როგორ მოერგებოდა სპორტულ-სამეჯლისო ცეკვები ქართულ მენტალიტეტს. ვამაყობ იმით, რომ ქართველი კონკურსანტები ძალიან ძლიერები არიან. მაყურებლისა და ფიურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სეზონს ღირსეული გამარჯვებული პყავს.“

საგრიმიოროს კარზე ვუკაკუნებ ფიურის კიდევ ერთ ნევრს, გოჩა ჩერტოკოევს. გოჩა ღიად გამოხატავს პროექტის მეზუთე სეზონით კმაყოფილებას და ამბობს, რომ ქართული „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სნორედ ბოლო, მეზუთე სეზონზე დაიბადა.



I wanted to see how well Georgia would take to this project, how acceptable competitive ballroom dancing would be to the Georgian mentality. I am proud that Georgian competitors are so good. Every season has a worthy winner, and all credit for that goes to the audience and the judging panel!”

I knock on the dressing room door of Gocha Chetkoev, another member of the panel. Gocha openly expresses delight over this season of the project, saying that it was during the fifth season precisely that the true Georgian *Dancing with the Stars* was born. He has several reasons to make that statement: “Most importantly, a special studio was built exclusively for the project. In addition, competitors finally started to perform authentic ballroom dances, and that’s a great achievement in my opinion. Personally I think that the Georgian *Dancing with the Stars* is a very important and interesting project. I was born and raised in Georgia, and I will spare no effort to ensure the success of this project. It is my personal and professional duty. As for the show, I believe that our season this year is among the top best versions of *Dancing with the Stars* across the world.”



ამის თემის საფუძველს რამდენიმე მიზეზი აძლევს: „ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ პროექტისთვის სპეციალური პავილიონი აშენდა. გარდა ამისა, ბოლოს და ბოლოს, კონკურსანტებმა ნამდვილი სამეჯლისო ცეკვების ჩვენება დაიწყეს. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა. პირადად ჩემთვის ქართული „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია. მე საქართველოში დავიბადე, გავიზარდე და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ეს პროექტი წარმატებული იყოს. ეს ჩემი პირადი და პროფესიული მოვალეობაა. რაც შეეხება შოუს, ჩემი აზრით, წლევანდელი სეზონი მსოფლიოს ხუთ საუკეთესო ანალოგიურ შოუებს შორისაა.“

გოჩა ჩერტკოევს ეთანხმება პროექტის მთავარი პროდიუსერი ივან ფროლოვი უკრაინიდან. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მეგა პროექტის ქართული ანალოგი ყოველთვის გამოირჩეული იყო, მიზეზად კი ქართველების ბუნებას ასახელებს: „ქართველები ემოციური და მგზნებარე ხალხია. ამიტომ პროექტი გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი გამოდის. აქ ნაკლებად გინევს ცეკვებისთვის დამატებითი ხრიკების გამოგონება. რატომ? იმიტომ, რომ აქ გამორჩეული კონკურსანტები არიან, რომლებიც თავად ალამაზებენ ცეკვას.“ ივან ფროლოვი სპეციალურად პროექტისათვის აშენებულ პავილიონზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ყველაზე მასშტაბურია ამიერკავკასიაში: „ჩვენ მივხვდით, რომ პროექტის უკეთ წარმოსაჩენად განსაკუთრებული ატმოსფერო უნდა შეგვექმნა. ცირკი, ისევე როგორც თეატრი, არ არის სამეჯლისო და სპორტული



Ivan Frolov, the show's Executive Producer from Ukraine, seconds Gocha Chertkoev's opinion, adding that the Georgian version of this megaproject has always been special due to the extraordinary character of the Georgians: "The Georgians are emotional and passionate people. This is why our project is much more interesting and diverse. In our case, you don't have to make up additional dance moves and tricks. Why? Because we







ცეკვებისთვის განკუთვნილი ადგილი. თბილისში არ იყო შესაფერისი საცეკვაო დარბაზი. ორი თვე ვაშენებდით პავილიონს. გარდა იმისა, რომ პავილიონი ღამაზი და კაშკაშა უნდა გამოსულიყო, ის აბსოლუტურად უსაფრთხო უნდა ყოფილიყო. ჩვენ ამას მივალანით.“  
ისე ვერ დავასრულებ ინტერვიუმს, პროექტის რეჟისორს ზურაბ ფანქველაშვილს რომ არ გავესაუბრო. საკონკურსო ცეკვების გადაღება, დეკორაციაზე, ნომრის

have exceptional competitors, who are able to embellish dance on their own.” Ivan Frolov also emphasizes that the studio, built exclusively for the needs of the project, is the largest facility of this type in all of the South Caucasus: “We realized that we needed to create a special environment and setup to enhance the project’s visibility. Similar to the theater, the circus is not a place designed for ballroom or competitive dances, and there was no suitable dance hall in Tbilisi. It took us two months to build this studio.







გალამაზებაზე, სპეცეფექტებსა და განათებაზე ფიქრი – ეს ყველაფერი სწორედ მისი გუნდის მოსაგვარებელია. მისი თქმით, არაჩვეულებრივი ადამიანების მონდომებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომ დღეს ტელემყურებელი პროექტის გაცილებით გაუმჯობესებულ ვარიანტს ხედავს ეკრანზე.

სწორედ ტელემყურებლის დამოკიდებულება და შოუსადმი სიმპათია გაითვალისწინა მაგთიკომმა და მეხუთე სეზონზე პროექტს კვლავ ერთგულად დაუდგა გვერდით. კომპანიამ გადაწყვიტა არ გამოერჩია ერთი გამარჯვებული და სამ საუკეთესო კონკურსანტს – ზურა მანჯავიძეს, ნოდუკო ტატიშვილს, მარიამ როინიშვილს და მათ მენყვილებს 4G ტელეფონები გადასცა. ახალი წლის ღამეს მათ კიდევ ერთი განსაკუთრებული საჩუქარი მიიღეს მაგთისგან – ორკაციანი საგზურები საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე. ახლა მეხუთე სეზონის სამეულს ნიცაში, კანში, მონაკოსა და სენ-ტროპეში ელიან.

მარიტა ჭანიშვილი  
ფოტო: გიორგი ცაავა

It had to be attractive and glittering, and absolutely safe at that. And we did it!”

My interviews will be incomplete without Project Director Zurab Pankvelashvili. I must definitely speak with him. His team is in charge of pretty much everything, be it recording competitors dance or arranging stage decorations, finding ways to make performances look better or worrying about special effects and lighting. Zurab insists that it is thanks to the commitment and professionalism of these remarkable people that TV viewers can today enjoy a much better version of the project.

MagtiCom took into account the affectionate attitude of TV viewers toward the show and provided the project’s fifth season with unwavering support. This time, the company decided against picking a winner. Instead, three competitors: Zura Manjavidze, Nodiko Tatishvili and Mariam Roinishvili and their partners were awarded 4G phones. On New Year’s Eve, the show’s finalists received yet another special present from Magti – trips for two to the French Riviera. Nice, Cannes, Monaco and Saint-Tropez await the fifth season trio.

By MARITA CHANISHVILI  
Photo by Giorgi Tsaava



# ინფინაემპაქეობი

საუკეთესო პირობები საუკეთესო ღირებულებით



500 მბ - 3 ლ

1 000 მბ - 5 ლ

2 000 მბ - 7 ლ

4 000 მბ - 10 ლ

6 000 მბ - 15 ლ

15 000 მბ - 30 ლ

ულიმიტო - 150 ლ

პაკეტის ასარჩევად აკრიფე  
\*111# **OK** მიჰყევი ინსტრუქციას  
ან ისარგებლე პორტალით

[www.mymagti.com](http://www.mymagti.com)

მაგთის და ბანისთვის შექმნილი  
მეგაპაიკების გამოყენების  
ვადაა 30 დღე

☎ 11 00 11  
მაგთიკომის ქსელიდან ხარი უფასო  
[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)




მაგთი  
MAGTI





# თემურ ჩხეიძე – სცენაზე და სახელოსნოში

„დადგება დრო  
და სხვები  
მოვლენ,  
უკეთესები!“



## TEMUR CHKHEIDZE


on Stage and in the Workshop

“A TIME WILL COME FOR OTHERS, THOSE  
WHO ARE BETTER, TO EMERGE!”

„დადგება დრო და სხვები მოვლენ, უკეთესები,“ – მითხრა თემურ ჩხეიძემ ჯერ კიდევ 2007 წელს. იმ დროს რეჟისორი მომავალი თაობისთვის საქართველოში არ და ვერ მუშაობდა. ჯერ ისევ კეთილშობილი, ტოვსტონოგოვის სახელოსნოს დიდ დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობდა. კეთილშობილის თეატრს ოცნებიანი თანამშრომლობის მერა მინც დაემგვიდომა და საქართველოში ქართული თეატრის მომავლისთვის შრომა არჩია. ამ არჩევანს დღეს თემურ ჩხეიძის სახელოსნო ჰქვია, რომელმაც სამეფო უზნის თეატრში დაიღო ბინა და ათ ახალგაზრდა რეჟისორს და დრამატურგს აერთიანებს.

“A TIME WILL COME FOR OTHERS, THOSE WHO ARE BETTER, TO EMERGE!” TEMUR CHKHEIDZE TOLD ME AS EARLY AS 2007. BACK THEN, THIS DIRECTOR NO LONGER WORKED AND COULD NOT WORK FOR THE BENEFIT OF YOUNGER GENERATIONS; HE WAS STILL IN CHARGE OF THE TOVSTONOGOV GREAT DRAMA THEATER IN SAINT PETERSBURG, RUSSIA. AFTER TWO YEARS OF COOPERATION, HE BID FAREWELL TO THE PETERSBURG THEATER, CHOOSING TO SPARE NO EFFORT FOR THE BENEFIT OF THE FUTURE OF GEORGIAN THEATER. TODAY THIS CHOICE HAS RESULTED IN THE TEMUR CHKHEIDZE WORKSHOP, HOUSED IN THE ROYAL DISTRICT THEATER AND UNITING TEN YOUNG DIRECTORS AND PLAYWRIGHTS.





ფოტოები არქივიდან  
PHOTOS FROM THE ARCHIVE

თემურ ჩხეიძის, როგორც რეჟისორის და პედაგოგის მთავარი ხიბლი და ძალა ისაა, რომ არასდროს ცდილობს საკუთარი თავის, უპირატესობის, შესაძლებლობების, ცოდნისა და გამოცდილების წარმოჩენას. ეს ალბათ იმიტომ, რომ ზუსტად იცის, „ერთხელ მიღწეული წარმატება არაფერია გარდა იმისა, რომ ცხოვრებაში ეს უკვე მოხდა. მთავარია, დღეს შეძლო, დღეს მოახერხო...“ მომხრეა ევოლუციის და არა რევოლუციის, მაგრამ ამ ცნებებზე საუბრისას ყოველთვის მხოლოდ თეატრს გულისხმობს. თუმცა, მისთვის თეატრი უკვე დიდი ხანია ცხოვრებად იქცა.

**– რა შეიცვალა თეატრში მას შემდეგ, რაც რეჟისორის როლში პირველად წარსდევით?**

– მაშინ სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობდით. იმ დროს მაყურებლის თეატრისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებული იყო. თეატრი იყო ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ის ადგილი, სადაც შეფარულად ამბობდნენ სიმართლეს.

**W**hat makes Temur Chkheidze especially charming and mesmerizing as a director and a professor is that he never tries to look better than he is, and neither does he showcase his strong points, skills, knowledge or experience. It is probably because he knows very well that “Success is nothing but what has already happened in life. What matters is what you can do today, what you can achieve today.” He supports evolution, not revolution. However, when discussing these notions, he means only theater. On the other hand, theater has long taken over his life.

**How has theater changed since your debut as a director?**

We lived in a different country then, and the audience’s attitude toward theater was different. Theater was a place, if not the only place, where the truth, albeit implicit, was told. Theater sought form to say what was prohibited to say officially and





სცენა სპექტაკლიდან „გრონჰოლმის მეთოდი“. რეჟ. თ. ჩხეიძე. ფოტოზა ნიკა თავაძე და ეკა ჩხეიძე  
SCENE FROM THE GRONHOLM METHOD PLAY, DIRECTED BY TEMUR CHKHEIDZE. ACTING, NIKA TAVADZE AND EKA CHKHEIDZE

თეატრი ეძებდა ფორმებს იმის სათქმელად, რისი ოფიციალურად და გამომწვევლად გაცხადებაც იკრძალებოდა. ამ მიმართულებით თეატრმა ძალიან ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა. ამგვარი მიზნები ხელს უწყობდა ალეგორიის დახვეწას და სათქმელის შესატყვისი ფორმების ძიებას, რამაც თეატრი გაამდიდრა. ახლა, რა თქმა უნდა, სხვაგვარად არის საქმე. დღეს თეატრი აღარ შეიძლება მხოლოდ იმას გაედეგნოს, რომ არიქა, მე სიმართლეს ვამბობ!

**– გასაშიშვლებელი აღარაფერია?**

– ადამიანის ბუნება მუდმივად გასაშიშვლებელია. ეს არის ამოუწურავი სივრცე, სადაც ყოველთვის უნდა ვიყოთ ჩაყურყუმელავებულნი და ახალ-ახალი აღმოჩენები ვაკეთოთ. მე არ ვიზარებ აზრს, თითქოს „მორჩა, დამთავრდა ფსიქოლოგიური თეატრის დრო!“ ეს იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ – დამთავრდა ადამიანის აზროვნების დრო და მოდით, ახლა სხვა გზას დავადგეთ! შეიძლება აზროვნება იცვლება, მაგრამ ადამიანს აზროვნებას ვერ აუკრძალავთ. თუ ადამიანი აზროვნებს, მაშინ თეატრშიც უნდა არსებობდეს ისეთი მიმართულება, რომელიც ამ პროცესს ასახავს. ფსიქოლოგიურ თეატრზე ვსაუბრობ. ინტელექტუალური თეატრი ცოტა სხვა მოკლენაა. ფსიქოლოგიური თეატრი არაფრით არ შეიძლება მოკვდეს... და არც მოკვდება, აგერ ვნახავთ მალე. ასევე, არ შეიძლება ლიტერატურაში მოკვდეს რომანი. რომანი განიცდის სახეცვლილებას, მაგრამ ის, როგორც ჟანრი, ცოცხალია. ისე, ჩვენ ვინ გვკითხავს რეცეპტების გამოწერას? ახლა ძალიან ხშირად მესმის თავდაჯერებული ფრაზები. ჩემს ახალგაზრდობაშიც ასე იყო – თეატრი მოკვდა, კინოს დროა. თუმცა, მერე თეატრის დიდი აღმავლობის დრო დადგა – ოცნლიანი პერიოდი, მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ ევროპაში. მაშინაც ძალიან

openly. In this regard, it benefited society a lot. In the process of achieving these goals, on the other hand, theater was enriched through the promotion of refined allegories and the discovery of new forms of expression. Today things are different, of course. Today theater cannot limit itself only to telling the truth!

**Why, is there nothing left to uncover?**

Human nature offers infinite possibilities for discovery. It is an inexhaustible well; we must continue plunging into this well and keep making discoveries. I disagree when people say that psychological theater is history! They might as well say that human thought is history, so let's seek other ways! Mentality may change, but you cannot prevent people from thinking. The human being thinks, therefore theater must have a direction to reflect this process. I'm talking about psychological theater, that is, theatrical realism. Intellectual theater is a different phenomenon. Psychological theater cannot die, and it will never die, mark my words. Similarly, the novel, as a literary genre, cannot die. It may go through transformation, but it's alive as a genre. All in all, who are we to judge? I often hear opinionated statements on this matter. It was the same way in the past, when I was young. People asserted that theater was dead, and the era of cinema had come. Yet, theater saw a great revival shortly thereafter, twenty years of flourishing, not only in the Soviet Union, but across Europe as well. I've seen people who used to announce the death of theater and then wound up facing a totally different reality. Can art die simply because an artist passes away? No!

In a nutshell, we are not close to the death of theater by any





თემურ ჩხეიძე რეპეტიციზა  
TEMUR CHKHEIDZE AT REHEARSAL

მაინტერესებდა იმ ადამიანების აზრი, რომლებიც მანამდე თეატრის დასამარხად მოდიოდნენ, ბოლოს კი სულ სხვა რეალობა შერჩათ ხელში. შეიძლება მხატვრობა მოკვდეს იმის გამო, რომ მხატვარი კვდება? არა...

მოკლედ, თეატრს სიკვდილი არ ემუქრება. მხოლოდ იმ ადამიანების სიკვდილია შესაძლებელი, ვინც თეატრში ვმუშაობთ. დადგება დრო და სხვები მოვლენ, უკეთესები.

ახალგაზრდა რეჟისორები თემურ ჩხეიძის სახელოსნოში თანამედროვე და კლასიკურ დრამატურგიას ხშირად განიხილავენ. თუმცა, თავად თემურ ჩხეიძე იშვიათად ირჩევს თანამედროვე ტექსტს. და თუკი ირჩევს, მხოლოდ განსაკუთრებული დაკვირვების შედეგად.

stretch of the imagination. Only we, those working in theater, may die. A time will come for others, those who are better, to emerge.

Young directors at Temur Chkheidze's workshop often discuss modern and classical dramaturgies. As for Temur Chkheidze himself, he rarely goes with contemporary pieces. And even when he does, his decision relies on thorough examination and pondering.

**Do you see modern dramaturgy in theater, and what is your take on it in general?**

Without modern plays, theater is like a childless home. Theater is incomplete without two or three modern plays in its repertoire. There are, of course, good plays, but we have to be careful in selecting a proper stage for them. Not every stage is suitable for modern plays. Everything must be taken into account, even the architecture. Even good plays sometimes fade on a grand stage.

The last time Temur Chkheidze directed a modern play on a big stage was in 2014, *The Gronholm Method* by Jordi Galceran performed in Marjanishvili Theater. The panel of judges for *Duruji*, the only theater award in Georgia, unanimously recognized it as Best Performance of the Year. At the award ceremony, Temur Chkheidze pointed out with his usual modesty:

"Although I have received a number of prizes and awards, this award is of special importance to me. The fact that the young judges have singled out a piece staged by me, an aged man, means that I have not lost touch and relevance."

The following words of Temur Chkheidze reflect his sense of immense responsibility that he has discussed on numerous occasions, in different dialogues and interviews, at meetings with students:



ალეკო მახარობლიშვილი, თემურ ჩხეიძე და ნანი ჩიქვინიძე 2014 წლის პრემია „დურუჯის“ დაჯილდოების ცერემონიაზე  
ALEKO MAKHAROBlishVILI, TEMUR CHKHEIDZE AND NANI CHIKVINIDZE AT THE DURUJI AWARDS CEREMONY, 2014





„დურუჯის“ დაჯილდოების ცერემონიაზე  
AT THE DURUJI AWARDS CEREMONY

**– თუ ხელავთ თანამედროვე დრამატურგიის ადგილს თეატრში და როგორ აფასებთ მას?**


– თანამედროვე პიესის გარეშე თეატრი ჰგავს სახლს, რომელშიც არ ცხოვრობს ბავშვი. თუ ორი-სამი თანამედროვე პიესა მაინც არ არის რეპერტუარში, არ შეიძლება თეატრი იყოს სრულყოფილი. რა თქმა უნდა, არის კარგი ნამუშევრები, მაგრამ ადგილსაც შერჩევა უნდა, სად დაიდგმება. ახალი პიესა ყველა სივრცეს ერთნაირად არ უხდება. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, არქიტექტურასაც კი. ხანდახან დიდ სცენაზე ძალიან კარგი პიესა იცრიცება, ქრება.

ბოლოს დიდ სცენაზე თანამედროვე პიესა თემურ ჩხეიძემ შარშან დადგა. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი – ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი“ – საქართველოში არსებული ერთადერთი თეატრალური პრემიის „დურუჯის“ ჟიურიმ წლის საუკეთესო დადგმად აღიარა. დაჯილდოების ცერემონიაზე თემურ ჩხეიძემ მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით აღნიშნა:

– მიუხედავად არაერთი პრემიისა და ჯილდოსი, რომელიც მიმიღია, ჩემთვის დღეს ამ პრემიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რაკი ახალგაზრდა ჟიურიმ გამორჩეულად მიიჩნია ჩემი, ამ ასაკის ადამიანის, ნამუშევარი, ე.ი. ისევ საინტერესო ვარ და ისევ შემოიძლია რაღაც.

თემურ ჩხეიძის ეს სიტყვებიც იმ დიდ პასუხისმგებლობას გამოხატავს, რომელზეც არაერთხელ უსაუბრია სხვადასხვა დიპლომათა თუ ინტერვიუში, ან სტუდენტებთან შეხვედრისას:

– ერთი წარმატება არ არის სამომავლო მიღწევების გარანტი. არაფერს ნიშნავს ადრე რა გაქვს გაკეთებული. თითოეულ სპექტაკლზე თავიდან იწყებ ყველაფერს და ხელახლა უმტკიცებ საკუთარ თავს, რომ რეჟისორობა შეგიძლია. ველოდები, როდის დაიწყება სიბერე და მორჩება ყველაფერი. მანამდე ხომ უნდა მოვასწრო კიდე რაღაცის დადგმა. პრინციპში სიბერე დანებებულია. ჰოდა, როცა იქნება, დამთავრდება... იცით,



ლექციაზე  
AT A LECTURE



სიბერე რა არის? ჩემთან რეპეტიციაზე მოსვლა რომ აღარ მოუნდებოდათ. ეს კი საშინელება იქნება. ჯერ განებივრებული ვარ, ჯერ კიდევ ძალიან უნდათ ჩემთან რეპეტიცია მსახიობებს. ეს კარგი გრძნობაა იმიტომ, რომ მეც მინდა მათთან მუშაობა. მაგრამ როცა იტყვიან – „ამასთან რეპეტიციაზე რა შევა,“ ეს აუტანელი იქნება. ალბათ ჯობს, მანამდე მოკვდე. ეს იგივეა, შვილებმა რომ შეგიძლონ. მე შევსწრებივარ ამას. ისეთ ხალხს ვგულისხმობ, რომლებზეც თავის დროზე ლოცულობდნენ. ასე რომ, წარმოუდგენელი არაფერია. ჩვენ რატომღაც გვჯერა, რომ ყველაფერ საუკეთესოს ვიმსახურებთ და ჩვენდამი დამოკიდებულება მუდამ ერთგვარი იქნება. მაგრამ არა – ყოველ ჯერზე ყველაფერი ხელახლა უნდა შექმნა. ყველასთან თავიდან უნდა იპოვო საერთო ენა.

“One achievement today does not necessarily guarantee success in the future. Whatever you have done in the past does not matter a bit today. You start working on each play from scratch, and each and every time you must prove to yourself that you can direct. I anticipate old age for all this to end. Until then, however, I still have time to stage a play or two. Actually, I have already entered old age, so let it last as long as it will... Do you know what old age is? It's when actors no longer enjoy rehearsing with me. That seems horrible. So far, I have been spoiled; my actors love rehearsing with me. It feels great because I too love working with them. But you know the saying: "I'd rather face a firing squad than take part in his rehearsal." And it will be unbearable whenever it happens. Probably I'd rather die than to live long enough to see that. It's the same as making your children hate you, and I have seen that happen. I'm talking about people who were worshipped in their time, so anything can happen. Somehow we believe that we deserve all the best and that attitudes toward us will never change. But no! Each time you are back where you started. Each time you deal with people, you learn to read from the same page all over again.”

Every student or theater fan enjoys chatting with Temur Chkheidze, probably because he loves openness, be it in class or during an interview. “Let's lay it on the line,” he says. At the end of the day, after classes or rehearsals, he never rushes to leave, but takes his time. “Ahead of the next rehearsal, I must draw up a to-do list, with whom I need to speak, about what, and what I need to request from whom. Thus, let's talk.”

A conversation with Temur Chkheidze is a process no one wants to end, neither viewers when Chkheidze speaks to them



სტენა სპექტაკლიდან „პრმა მხედველი“  
SCENE FROM THE BLIND VISIBLE (MOLLY SWEENEY)



თემურ ჩხეიძე და ნიკა თავაძე ერთიან ლექციაზე  
TEMUR CHKHEIDZE AND NIKA TAVADZE AT A LECTURE





თემურ ჩხეიძის ლექციები სახელოსნოს სტუდენტებთან  
TEMUR CHKHEIDZE GIVING A LECTURE TO STUDENTS AT HIS WORKSHOP



თემურ ჩხეიძესთან საუბარი ნებისმიერი სტუდენტისა თუ თეატრალისთვის მიმზიდველია. ალბათ იმიტომ, რომ ლექციაზე თუ ინტერვიუს დროს ღია საუბრის მომხრეა. „პირდაპირ უნდა ითქვას ყველაფერი“ – ამბობს იგი და დღის ბოლოს, რეპეტიციისა თუ ლექციების შემდეგ, წასვლას არასდროს ჩქარობს. „მომავალ რეპეტიციამდე მთავარია, ჩამოვწერო რა არის გასაკეთებელი, ვის რა უნდა ვუთხრა და ვის რა უნდა დავავალო. ასე რომ, ვისაუბროთ...“

თემურ ჩხეიძესთან საუბარი პროცესია, რომლის დასრულებას არასდროს არავინ ცდილობს: არც მაყურებელი, როცა ჩხეიძე სცენიდან „ესაუბრება“; არც სტუდენტები, რომლებიც მასთან ერთად სახელოსნოში ეძებენ ტექსტებს და ტექსტებში პერსონაჟებს – ადამიანებს და მათ სურვილებს, ემოციებს, აზრებს, მამოძრავებელ ძალასა და მოტივაციებს. ეძებენ და იკვლევენ იმ საფუძველს, რაც მათ სამომავლოდ შესაქმნელ ახალ თეატრს სიცოცხლეს მისცემს.

სოფო კილასონია



from the stage, nor students when joining him to scrutinize texts and characters therein, that is, human beings with their wishes, emotions, thoughts, urges and motivations. They scrutinize and explore the foundation to breathe life into new theater they are set to shape.

By SOPO KILASONIA



კ ბ კ ე თ ი  
**მეგობრული**

უღირებოთ საუბარი

1000 MB ინტერნეტი

უღირებოთ - SMS



 **25 52** 

[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

**მეგობრივი  
MAGTI**





# შეტქმულება თეთრ თიხასთან



ფოტოზე ლალი კუთათელაძის ნამუშევრები  
Photos of Lali Kutateladze's works

## In Cahoots with White Clay

„მე ახლა მზუზე ვზივარ და ვუცქერ  
მზუზე გაფენილ თიხის ფირფიტებს.  
მე მათ გავანდე და ჩავაბარე ჩემი  
ფიქრები და ოცნებები...  
აღამიანზე გამძლეა თიხა  
და იქნებ ვინმემ იპოვოს იგი,  
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,  
იქნებ ვინმემ იპოვოს იგი  
და წაიკითხოს ჩემი ცხოვრება...“

I SIT IN THE SUN AND CONTEMPLATE CLAY  
SLABS SPREAD OVER ITS SURFACE. I HAVE  
REVEALED AND COMMITTED MY THOUGHTS  
AND DREAMS TO THEIR CARE... CLAY IS  
HARDIER THAN MAN. PERHAPS SOMEONE  
MAY DISCOVER MY SLAB AFTER I AM GONE.  
PERHAPS SOMEONE MAY DISCOVER IT AND  
READ MY LIFE.

ოთარ ჭილაძე

OTAR CHILADZE



თიხა მთხრობელია, რომელიც საუკუნეების ამბებს ფორმითა და ფერით გვიამბობს. თიხის მრავალ სახეობათაგან განსაკუთრებით უნიკალური თეთრი თიხა, იგივე კაოლინია, რომელიც მინის ნიაღში იშვიათად გვხვდება. ჩინეთში, სადაც კაულისის მთაზე თეთრი თიხა პირველად აღმოაჩინეს, ტანგის დინასტიის ოსტატებს სჯეროდათ, რომ სწორედ ამ პლასტიკურობითა და ცეცხლგამძლეობით გამოირჩეულ თიხას შეეძლო უარყოფითი ენერჯის შთანთქმა. ალბათ ამიტომაც თეთრი თიხის სამყარო იმთავითვე უნიკალურია, განსაკუთრებულობის მთავარი საიდუმლო კი ხილული სინათლის ფერია.

ქართული კერამიკის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. თუმცა, საუკუნეების წინ აღმოჩენილ უძველეს ნიმუშებში კაოლინით დამზადებული ნაკეთობები არ მოგვეპოვება, რადგან მისი გამოწვა საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე, დაახლოებით 1200-1300 გრადუსზეა შესაძლებელი. ამ უნიკალური მასალის გამოყენება საქართველოში მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. სწორედ ეს პერიოდი მიიჩნევა თანამედროვე ქართული კერამიკის ისტორიის დასაწყისად, როდესაც პირველად გაჩნდა ტერმინი „ქართული ფაიფური“.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნე სოფიო ჩიტორელიძის თქმით, ქართული ფაიფურის, როგორც ერთ-ერთი თავისებური მხატვრული დარგის ჩამოყალიბებას ძალზე რთულმა და საინტერესო ძიებებმა შეუწყო ხელი. 1930 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში კერამიკის ფაკულტეტი გაიხსნა და იქვე შეიქმნა ქიმიური ლაბორატორია, სადაც საქართველოში არსებული თიხის ნედლეულის შესწავლა ხდებოდა.

1930-იან წლებში ქართველმა გეოლოგებმა პირველად აღმოაჩინეს ფაიფურ-ფაიანსის მისაღებად საჭირო სუფთა თეთრი კაოლინური თიხა, რაც ქართული თეთრკეციანი კერამიკის განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენდა. იმ პერიოდშივე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ქართული ფაიფურის საკუთარი რეცეპტურა და დამუშავების ორიგინალური ხერხები

Clay is a narrator who relates stories of ages past in form and color. Among its many types, white clay, also known as kaolin, is truly unique. It is one of the rarest of all clays. In China, where kaolin was first discovered in the village of Kao-Ling, master craftsmen under the Tang dynasty believed that this clay, so flexible and fire resistant, could absorb negative energy. Probably this is why the realm of white clay is so unique in the first place, the main reason behind its uniqueness lying in the color of visible light.

The history of Georgian ceramics stretches back millennia. Kaolin artifacts, however, are absent from the centuries-old examples discovered in our country, as white clay is fired at an extremely high temperature, between 1,200 and 1,300 degrees Celsius. This unique material was used in Georgia for the first time as late as the 1930s. It is widely believed that this period marked the birth of modern Georgian ceramics. The term *Georgian china* also emerged at that time.

According to art historian Sopia Chitorelidze (Giorgi Chubinashvili National Center for the Study of Georgian Art History and Monument Protection), the development of Georgian china, as a special branch of art, was prompted by complex and enticing artistic experimentation. In 1930, the Department of Ceramics and an affiliated chemical lab were established under the Tbilisi Academy of Fine Arts to study clay minerals found in Georgia.

In the 1930s, Georgian geologists discovered pure white clay, which is necessary to produce china and faience, expediting this way the advancement of Georgian tin-glazed pottery. Students of the Academy of Fine Arts developed their own unique methods for producing china in the same period. After graduating from the academy in 1937, ceramist Mikheil Giorgadze used kaolin found in the village of Askana (Guria) to produce the first local material for china pieces. At the same time, ceramic artist Nikoloz Gomelauri developed a new underglaze technique. These discoveries prompted the establishment of a porcelain factory in Georgia.

In 1942, a factory was established in Ozurgeti to produce the first examples of Georgian tin-glazed







pottery, that is, Georgian china. However, it proved impossible to build the framework necessary for the production of utilitarian wares and artistic objects from porcelain. In 1949, a china and faience ceramic factory was opened in Tbilisi. It was managed by Georgian experts returning from Russia. Later, several china factories emerged in Tbilisi and Zugdidi, though they used only imported raw materials. Unfortunately, mass production failed to utilize indigenous clay minerals.

The insufficient means of production prevented Georgian ceramist artists from pursuing creative activities. As a result, the individual manufacturing of artistic china pieces ceased in the late 1950s. Until the 1990s, china, mainly utilitarian wares, would be created only in ceramic factories. Pieces by prominent ceramic artists were exhibited abroad and received numerous awards at international events.

Unfortunately, the art of Georgian china failed to develop further in the subsequent period. It proved impossible to fathom and duly utilize the fabulous features of white clay. Very often ceramists failed to create solid harmonious



შეიმუშავეს. 1937 წლის კურსდამთავრებულმა კერამიკოსმა მიხეილ გიორგაძემ, გურიის სოფელ ასკანის კაოლინისაგან პირველი ქართული ფაიფურის მასა შექმნა, მხატვარ-კერამიკოსმა ნიკოლოზ გომელაურმა კი ფაიფურის ქიქურქვედა მოხატვის ახალი ხერხი შეიმუშავა. ამ აღმოჩენების შედეგად ფაიფურის ქარხნის დაარსების საკითხიც მალევე დაისვა.

1942 წელს ოზურგეთში ამუშავდა ქარხანა, სადაც პირველად შეიქმნა თეთრკეციანი კერამიკის ნაწარმი – ქართული ფაიფური. თუმცა, საწარმოში ვერ მოხერხდა მხატვრული და საყოფაცხოვრებო ფაიფურის წარმოებისათვის საჭირო ბაზის შექმნა. 1949 წელს თბილისშიც გაიხსნა





ფაიფურ-ფაიანსის კერამიკული კომბინატი, რომელსაც სათავეში რუსეთიდან დაბრუნებული ქართველი სპეციალისტები ჩაუდგნენ. მოგვიანებით თბილისსა და ზუგდიდში კიდევ რამდენიმე ფაიფურის ქარხანა ამუშავდა, მაგრამ კერამიკული საწარმოები მხოლოდ შემოტანილ ნედლეულს იყენებდნენ. სამწუხაროდ, ქართული თეთრი თიხის წარმოებაში დანერგვა ვერ მოხერხდა.

გაუმართავი საწარმოო ბაზა ქართველ მხატვარ-კერამიკოსებს არ აძლევდა შემოქმედებითად მუშაობის საშუალებას, რის გამოც მხატვრული ფაიფურის ინდივიდუალურმა წარმოებამ 1950-იანი წლების ბოლოს არსებობა შეწყვიტა. 1990-იან წლებამდე ფაიფურის დამზადება მხოლოდ კერამიკულ საწარმოებში გრძელდებოდა და ძირითადად სამრეწველო დანიშნულების ნაკეთობებით იყო წარმოდგენილი. ცნობილი მხატვარ-კერამიკოსების მიერ შექმნილი კერამიკა საზღვარგარეთაც იგზავნებოდა და საერთაშორისო გამოფენებზე არაერთი ჯილდოც დაუმსახურებია.



compositions of form and decorative elements. This is why the art of porcelain has failed to outgrow the stage of experimental endeavors.

Young ceramic artists have recently revived the use of Georgian white clay. Nato Eristavi, whose bold experimentation has earned her recognition and success, is viewed as a pioneer in this field. Ceramist Lali Kutateladze also uses white clay. Their initiative has already acquired them followers.

After having heard of white clay from their professors, Alde and Rezolashvili, at the academy, young Georgian ceramists decided to conduct an experiment in the recently opened White Studio, working with clay the old fashioned way, manually. Everything produced in White Studio, including kitchen utensils, cookware and bakeware, decorative pieces and others, is handmade. Some pieces feature ancient Georgian ornamental motifs, often in combination with modern stylized forms. Each work has an exclusive and unique design.

White studio-ს ნამუშევრები. ფოტო: ირაკლი ნაკუდაიძე  
Works of White Studio. Photos by Irakli Nakuidze







According to Nato Eristavi, emotion and intuition, along with technical skills, are very important in her line of work: "Unlike the other types of clay, kaolin can be easily formed into any shape. It is like a game when form seems to have a mind of its own, when it seems to be helping us. After drying, it may undergo some deformation and require additional interference. White clay is ready for that, too. The mystery of firing is the most exciting part, though. The relationship between fire and clay is sacred. Clay and I may come to an agreement, but fire can produce unexpected results. It can turn an ordinary work into a masterpiece, and vice



სამწუხაროდ, შემდგომში ქართული ფაიფურის ხელოვნებამ სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. ბოლომდე ვერ მოხერხდა თეთრი თიხის სახასიათო თვისებების გათავისება. ხშირ შემთხვევაში კერამიკოსები ვერ აღწევდნენ ფორმისა და დეკორატიული ელემენტების მხატვრულ მთლიანობას. ამიტომ საქართველოში ფაიფურის ხელოვნების ათვისება ექსპერიმენტული ძიებების პროცესში შეჩერდა.

თანამედროვე რეალობაში ქართული თეთრი თიხის გამოყენება ახალგაზრდა კერამიკოსებმა კვლავ წამოიწყეს. ნატო ერისთავი, რომელმაც თამამი ექსპერიმენტით უკვე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, ამ საქმის პიონერად შეიძლება ჩაითვალოს. ქართულ თეთრ თიხას იყენებს, ასევე, მხატვარ-კერამიკოსი ლალი ქუთათელაძეც. მათ წამოიწყებას უკვე გამოუჩნდნენ მიმდევრებიც.

ქართველმა კერამიკოსებმა თეთრი თიხის „საიდუმლო“ აკადემიაში სწავლის პერიოდში, თავიანთი პედაგოგებისგან – ალდე კაკაბაძისა და რეზო იაშვილისგან შეიტყვეს და გადამწყვიტეს ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ. „White Studio“-ში,



რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გაიხსნა, თეთრ თიხას «ველური მეთოდით» ამუშავებენ და ხელით ქმნიან საყოფაცხოვრებო ნივთებს, გამოყენებით თუ დეკორატიულ ჭურჭელს... ნაკეთობებში ვხვდებით ძველი ქართული ორნამენტის მოტივებსაც, რომელიც ხშირად თანამედროვე სტილიზებულ ფორმებთანაა შერწყმული. თითოეული ნამუშევარი კი ექსკლუზიური დიზაინით არის დამზადებული.

ნატო ერისთავი ამბობს, რომ მუშაობისას, ტექნიკის გარდა, მნიშვნელოვანია ემოცია და ინტუიცია, რომლის გარეშე თიხა არ დაგემორჩილება: «სხვა სახეობის თიხისგან განსხვავებით, თეთრ თიხას ხელის მარტივი მოძრაობით შეიძლება მისცე სასურველი ფორმა. ეს ხანდახან თამაშსაც



White studio-ს ნამუშევრები. ფოტო: ირაკლი ნაკუდაიძე  
Works of White Studio. Photos by Iraki Nakuidze



versa. This is why ceramic artists should always be on the lookout for a surprise. White clay pieces are something else. They have remarkable characteristics. With adequate technology in the future, they will surely vie with Chinese porcelain examples."

Lali Kutateladze believes that "Georgian white clay is a special material that offers ceramists infinite opportunities.







ემსგავსება – ფორმა თვითონ პოულობს გზას, თითქოს „გეხმარება“. შრობისას შეიძლება კიდევ განიცადოს დეფორმაცია და მოითხოვოს ხელახალი ჩარევა. თეთრი თიხა ამისთვისაც მზად არის. ყველაზე დიდი საოცრება კი გამოწვევის საიდუმლოა. ცეცხლის და თიხის ურთიერთობა საკრალურია – შეიძლება მე და თიხა „შევთანხმდეთ“, მაგრამ ცეცხლი ხანდახან მოულოდნელ ეფექტს იძლევა. მას შეუძლია ჩვეულებრივი ნამუშევარი შედეგად აქციოს, და პირიქით. ამისთვის კერამიკოსი ყოველთვის მზად უნდა იყოს. თეთრი თიხით შექმნილი ნამუშევრები სრულიად განსხვავებულია. მას არაჩვეულებრივი თვისებები აქვს და მომავალში, თუ სათანადო ტექნოლოგიით დამუშავდება, არაფრით ჩამოუვარდება თუნდაც ჩინურ ფაიფურს.“

ლალი ქუთათელაძის აზრით, „ქართული თეთრი თიხა განსაკუთრებული მასალაა კერამიკოსისთვის. მას უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს. ჩემთვის ამ მასალით მუშაობა ძალიან სასიამოვნო და კომფორტული აღმოჩნდა. თეთრი თიხა გვიან შრება და სხვა სახეობის თიხაზე მეტად პლასტიკურია, ფაიფურის თვისებები აქვს. ამასთან, სასიამოვნო რძისფერი თეთრია, ამიტომ მისგან დამზადებული ნივთები განსაკუთრებით ლამაზია.“

არ შეიძლება ქართველ კერამიკოსებს არ დაეთანხმო და არ დაიჯერო, რომ მათ მიერ თეთრი თიხით „მოყოლილი ამბებიც“ დროს გაუძლებს და ჩვენი ეპოქის დანაბარებს მომავალ თაობებს გადასცემს.

შურთხია ბეროშვილი



I find working with this material very exciting and comfortable. White clay takes longer to dry. It is more flexible than other types of clay. It shares characteristics with porcelain. In addition, its milky white color feels cozy and pleasant. This is why kaolin pieces are especially beautiful.”

I have to agree with Georgian ceramic artists and believe that the stories narrated by them through white clay will stand the test of time and communicate to future generations what the world has to say today.

By SHURTKHIA BEROHVILI



# უიკაფასი

ტარიფი ბალის კლბისა

0

თეთრი

შაბთი-ბალი-ბანი

5

თეთრი

სხვა ქსეები

ბარის წამოწყების ღირებულება – 5 თეთრი,  
ტარიფის ჩართვის ერთჯერადი ღირებულება – 1 ლარი.



2005 ok



კლბი



110011

[www.bali.ge](http://www.bali.ge)



# კამ პიქაუს იყო

SOMEONE  
WAS  
HERE



სლიარებითი ჩვენება უნდა მოგცეთ... ოდესღაც, თინეიჯერობისას, მალაზიების ვიტრინების დამსხვრევა მინდოდა. ვიცოდი, რომ 15 დღე-ღამე იყო ამისთვის საბჭოთა მილიციის წინასწარი დაკავების საკანში და როგორღაც ვერ გაგებდე. თან ოჯახის შერცხვენაც არ მინდოდა. თუმცა, ეს სურვილი შინ გავამხილე და ბებია მშვიდად მითხრა – აივანზე კარადაში ცარიელი ქილებია, აილე და დაამსხვრიეო. მეც გავედი და მეტლას დავაღუნე ერთი თუ ორი ქილა და ცოტა ხნით მომეშვა. მალე გარდატეხის ასაკმაც გამიარა, ხოლო მას მერე ისეთები დაიწყო ქვეყანაში, რომ ვიტრინების ლეწვა საინტერესო აღარ იყო. არადა, ხატვა რომ მცოდნოდა ან სტრიტ არტის არსებობის შესახებ შემეტყო, მაშინ ქილებიც გადარჩებოდა და მეც ჩემს პროტესტს გარე სამყაროსადმი სხვა გზით წარმართავდი.

I have to confess to a crime. A long time ago, as a teenager, I wanted to smash store windows. Somehow, I never worked up the courage – I knew I would spend fifteen days in a holding cell at a Soviet militia precinct. Besides, embarrassing my family was the last thing I wanted to do. Nonetheless, I made this urge of mine known at home. In reply, grandma told me calmly, “We have empty jars in the storage cabinet on the balcony. Go ahead. Break them.” So I did, dashing a couple of jars against the floor tiles and feeling relief for a while. Then, with my adolescent years behind me, breaking store windows seemed boring compared to what was happening in the country. Yet, had I known how to draw or heard of street art back then, the jars would have survived and I would have channeled my protest against the rest of world differently.



ქუჩის მხატვრობა არ არის „ძირს ხუნტა“ და მსგავსი წარწერები. დღეს ეს არის დიდ ქალაქებში მობინადრე ნონ-კონფორმისტების გამოხატვის ფორმა და ურბანული სივრცის ახლებური გააზრება. კანონი კერძო შენობებსა და საქალაქო ინფრასტრუქტურაზე ხატვას ყველგან კრძალავს, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. თუმცა უდავოა, რომ რასაც დღეს ხატავენ კედლებზე ამ საქმეს განდობილები, ხელოვნების უმაღლესი პილოტაჟია და ამოჭრილი ბათქაშები და ასფალტის ნაჭრები სტრიტ არტისტთა ნახატებით ასტრონომიულ ფასადაც იყიდება ხოლმე სოთხის აუქციონზე. უკანონო ქმედებაზე თუ წაუსწრებს პოლიცია ქალაქის ამ უხილავ გარდამქმნელებს, აუცილებლად დააკავებს. ამიტომაც არ ჩნდებიან, ინტერნეტ სივრცის მბრძანებელი ანონიმუსებივით უჩინარები არიან, მათი ნახელავი კი ხილულია და ყოველდღიურობიდან გასაღწევ პორტალებს ჰგავს.

ვერ გეტყვით ზუსტად, საიდან დაიწყო ეს ყოველივე. ვიცი მხოლოდ, რომ 1918 წელს რუსი ფუტურისტების ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი, ალექსანდრე კამენსკი და დავით ბერლიუკი, აქვეყნებს მანიფესტს – „ლობების ლიტერატურა და მოედნების მხატვრობა.“ მანიფესტი მოუწოდებს ყველა ხელოვანს, უარი თქვას ბიბლიოთეკებისა და სალონებისთვის შექმნილ ნაწარმოებებზე და წერონ, ხატონ გზებსა და ხიდების მოაჯირებზე, სახლის სახურავებსა და კედლებზე. თუმცა, ლენინის ქვეყანაში და



Street art is not *Down with Dictatorship* or other inscriptions along those lines. Today it is a form of expression used by nonconformists in big cities and a new way of rethinking the urban environment. The law prohibits painting on private buildings and public infrastructure, even in advanced democratic countries. Admittedly, however, wall paintings



ტოტალიტარიზმის პირობებში მსგავსი თავგასული სილაღე რითიც დამთავრდა, ყველამ ვიცით. ამბავი მანიფესტური გრაფიტისა კი დეტროიტში 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო. ყუმბარების დამამზადებელ ქარხანაში მუშა გვარად კილორი მუშაობდა, რომელიც ფრონტზე გასაგზავნ ყოველ ყუთს აწერდა: „აქ იყო კილორი“, რითაც ამცნობდა ფაშისტებს, რომ მათი







მკვლელი არაა ანონიმური და სრულიად გაცხადებულია. ამ ყუმბარების მიმღები ევროპელი ჯარისკაცები კი იგივეს ანერდნენ დაბომბვის შემდეგ გადარჩენილი შენობების კედლებს, რითაც ადასტურებდნენ, რომ დიახაც, კილორი იყო აქ და ძრწოდეთ!

მოგვიანებით ამ ხერხს 1950-იან წლებში ფილადელფიელმა კორნბრედმა მიმართა. მალე ფილადელფიიდან სტრიტ არტის ვირუსი ნიუ-იორკში, მანჰეტენზე გადავიდა და თავზეხელაღებული ხელოვნება მთელ ქალაქს მოედო. იმთავითვე დადგა გადარჩენის საკითხი: როგორ მოეხატო კედელი ისე სწრაფად, რომ ზრდილობიანმა პოლიციელმა მხარზე ხელი არ დამადოს? ამისთვის მოიფიქრეს

by those initiated into this craft are true masterpieces, while some of the plaster slabs and asphalt cutouts with street artists' drawings are sold for astronomical prices at Sotheby's. If caught at the crime scene, these invisible transformers of the city will surely be arrested by the police. This is why they keep a low profile, remaining inconspicuous like the anonymous masters of the internet. Their works, on the other hand, are very much perceptible and resemble portals to escape everyday reality.

I am not sure when it all started. I only know that in 1918 a group of Russian Futurists, consisting of Vladimir Mayakovsky, Alexander Kamenski and David Burliuk, published a manifesto, *Literature of Fences and Painting of Squares*, urging all artists to quit creating for libraries and salons and to write and paint on





ტრაფარეტი. ის აადვილებს ამოცანას და ზრდის ქალაქის გარდასახვის სისწრაფესა და უკონტროლობას. ახალი სუბკულტურის დაბადება გალერისტების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. 1980-იან წლებში „რაიტერები“ გამოდიან ჩრდილიდან. იმართება ექსპოზიციები, სადაც გაცხადებულ კანონდამრღვევებს მხატვრებად აღიარებენ. მალე გამოფენები ნიუ-იორკიდან ევროპაში ინაცვლებს, სადაც პირველობას ბერლინი იჩემებს.

თუმცა... გაცხადებას მოჰყვა სანქციები. სანქციები კი აიძულებს მხატვრებს გამოვიდნენ მეტროებიდან და შეეშენენ შენობებს. ზოგი ნებდება, ზოგი თვითგამოხატვის ახალ ფორმებს ეძებს. არიან ისეთებიც, ვინც ხვდება, რომ პოლომდე უხილავი უნდა დარჩეს და ყოველდღიურობა ისე შეცვალოს. ასეთია დღევანდელი ბენქსი – ქუჩების გარდასახველი უხილავი ხელი, რომელსაც რა ხანია დასდევს პოლიცია ჟურნალისტებთან ერთად... თუმცა უშედეგოდ.

რა ვიციოთ მის შესახებ? არც არაფერი. ის ჟურნალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მას შეხვდნენ და გაესაუბრნენ, გვაუწყებენ, რომ მას ან რობინ ბენქსი ან რობინ განინგჰემი ჰქვია და ის 1974 წელს ბრისტოლში დაიბადა. იმასაც ამბობენ, რომ საეკლესიო სკოლაში სწავლობდა, საიდანაც თანაკლასელის კიბიდან ჩამოგდება დააბრალეს და გარიცხეს. მერე თითქოს ხორცის გამყიდველად მუშაობდა... ხოლო კედლებზე ხატვა 90-იან წლებში მას შემდეგ დაიწყო რაც მიხვდა, რომ ამ სამყაროში კანონის დაცვას აზრი არ აქვს – ყოველთვის შესაძლებელია დაგაბრალონ ის, რაც არ ჩაგინდენია. შედეგად მივიღეთ პოლიტიკური აქტივისტი, სოციალური კანონების დამრღვევი და აღვირახსნილად ნიჭიერი მხატვარი, რომლის ნახატებიც სხვადასხვა აუქციონზე ნახევარ მილიონ დოლარად იყიდება.

მისი პირველი ნახატი 2001 წელს ბრისტოლში გამოჩნდა. ეს იყო ჯოკონდა ყუმბარმტყორცნით ხელში. მერე იყო



roads and bridge rails, roofs and walls. We all know, however, what happened eventually to such expressions of frivolity in Lenin's country under totalitarianism.

The story of graffiti traces its roots back to 1942, during World War II. A certain Kilroy worked in a bomb plant in Detroit. After checking a bomb he would scrawl on its' side in white chalk KILROY WAS HERE, announcing to Fascists that their killer was not someone or something anonymous, but a very particular person. As American forces took back towns from the Germans, a soldier would invariably inscribe KILROY WAS HERE on whatever wall was left standing, reiterating that yes, Kilroy was here indeed and you should tremble in fear!





გოგონა, რომელიც ეხუტებოდა საავიაციო ბომბს და ტიან-მენის მოედნის უცნობი მოჯანყე, რომელმაც ტანკების კოლონა გააჩერა. ოლონდ მას ბენქსიმ ხელში სარეკლამო დაფა დააჭერინა წარწერით: **Golf Sale**. ერთ-ერთ ინტერვიუში კი იგი აცხადებს: „ჩვენ ვერაფერს შევცვლით ამ სამყაროში, სანამ არ დაინგრევა კაპიტალიზმი“.

ბენქსი ერჩის ქუჩის სათვალთვლო კამერებს და ქალაქების მმართველებს მოუწოდებს გრაფიტი ლეგალური გახადონ. ლონდონის რამდენიმე შენობა მან დაამშენა ტრაფარეტით, რომელიც აუწყებდა საზოგადოებას, რომ აქ ხატვა სრულიად კანონიერია. წარმოიდგინეთ როგორ შეესოდნენ მათ „რაიტერები“?! ეს და რამდენიმე სხვა ნამუშევარი შევიდა მის პირველ წიგნში **Banging Your Head Against A Brick Wall**, რომელიც მან თავისი ხარჯებით გამოსცა. საინტერესოა ის რამდენიმე აფორიზმიც, რომელიც ამ წიგნს ამჟღავნებს. მაგალითისთვის მხოლოდ ეს კმარა – „ომს, სიკვდილს და შიმშილს ინვევენ ადამიანები, რომლებიც ადრე დგებიან...“

მხატვრობის გარდა, ის ინსტალაციით და სკულპტურითაც არის გატაცებული. მაგალითად, როდენის ქანდაკება, რომელსაც თავის ნაცვლად საგზაო ნიშანი აქვს, ან ყინულმჭრელით „მოკლული“ ლონდონის ტრადიციული, ნითელი



Later, in the 1950s, Philadelphia's own Cornbread employed this technique. The Philadelphia street art virus spread to cover Manhattan, NY, from where this reckless art set out to take over the whole city. Right away, survival appeared as the most urgent issue: How do I paint a wall fast enough without a polite police officer tapping me on the shoulder? This is how graffiti stencils were invented. They make images easy to reproduce, render urban transformation faster and control weaker. The birth of a new subculture would not go down unnoticed by art gallery owners. In the 1980s, graffiti writers came out of the shadows, numerous expositions of their works were held, and, once shunned as outlaws, they were recognized as artists. Soon exhibitions moved from New York to Europe, where Berlin claimed the frontrunner's badge.

However, recognition entailed sanctions forcing artists to give up painting and writing on subway walls and buildings. Some have given in, while others seek new forms of expression. There are some who realize that they must remain invisible to the end



და კობტა სატელეფონო ჯიხური. ერთხელ ზოოპარკსაც გადაწვდა და სპილოს ვოლიერთან დაწერა: „თავისუფლება მინდა, აქ ძალიან ცივა და დარაჯი ყარს. მოწყენილობაა“... მერე კი მუზეუმს ეწვია, სადაც კედლებზე კლოდ მონეს ნახატი „ტბა წყლის შროშანებით“ დაკიდა საკუთარი შესრულებით, თუმცა წყალში ყვავილებთან ერთად ნაგავი დაცურავდა.

მისმა აქტიურობამ კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი ვან-დალიზმის შესახებ. 2004 წელს გრაფიტის ამკრძალავი კანონი კიდევ უფრო გამკაცრდა. ბენქსის ნებისმიერი, მაღალ-მხატვრული ნამუშევარიც კი ირეცხებოდა და იღებებოდა, თუმცა ქალაქ პრისტოლის მერი ჯიუტი გამოდგა და არც ერთი ნახატი არ გაუწადგურებია. პირიქით, მშობლიური ქალაქი მათ, როგორც ხელოვნების ნიმუშებს, უვლიდა და ინახავდა. ასე მაგალითად, დღემდე შემონახულია სექსოლოგიური კლინიკის კედლის ნახატი – ფანჯარაში მდგომი ცოლ-ქმარი და გადმოკიდებული საყვარელი.

ბენქსი დღემდე უხილავია და დღესაც ცდილობს დაანგრიოს სისტემა, თუმცა არსებობენ „რაიტერები“, რომლებიც კი არ ანგრევენ, არამედ მხოლოდ რამდენიმე შტრიხით სრულყოფენ და ისე ასხვავდებიან გარემოს. ასეთია ქუჩის მხატვარი ოაკოაკი – გრაფიტის ფრანგი ოსტატი, რომლის ნახატებიც ამშვენებს სენტ-ეტიენის და სხვა ქალაქების ქუჩებს და საკუთარ თავს უბრალო „მჯღაბნელად“ მოიხსენიებს.



მისი ურბანული სურათები ახლებურად გვააზრებინებს სივრცეს. ის არ ერევა ქუჩის უკვე არსებულ კონტექსტში, არამედ მოულოდნელ დეტალებს უმატებს და ასე სძენს მას ახლებურ ფლერადობას. რამდენიმე ხაზის და ფერის დამატებით ქალაქი უცებ გადასხვავდებოდა და სიურპრიზად ევლინება გაბეზრებულ მოქალაქეს. ოაკოაკის ხელოვნება არის არა პროტესტი, არამედ მცდელობა გააკვიროს, გააღიზიოს ადამიანი, რომელსაც მხრებზე ყოველდღიურობა ტვირთად აწევს. ქუჩის ორ სათვალთვალ კამერას შორის მოქცეულ პატარა სივრცეზე ის აწერს – „თავისუფლება აქ არის“ და შეყვარებულებს წუთიერი განმარტოებისთვის ინვესტს. კედლის ნაპრალი მის ხელში სპაიდერმენის ძაფად გარდაიქმნება, ხოლო ჩამონგრეული ბათქაში – წითელი ბურთით მოთამაშე ზღვის ლომად. „მინდა ჩემი ქალაქი

to make a difference in our placid everyday world. Banksy is one such artist, an invisible transformer of streets unsuccessfully sought by police and reporters for a long time.

What do we know about him? Pretty much nothing. Reporters who claim to have met and spoken with him say that his name is Robin Banks or Robin Gunningham and that he was born in 1974, in Bristol. It has also been speculated that Banksy attended the Bristol Cathedral School. He was accused of pushing his classmate down the stairs and expelled from school. Then he went on to work as a butcher. Banksy is rumored to have started painting wall graffiti in the 1990s, after realizing that obeying the law in this world was futile; they can always accuse you of something you have not done. As a result, we have a political activist, a violator of social rules and an unapologetic and talented artist, whose works are sold for half a million dollars at various auctions.

His first work, a Mona Lisa with a rocket launcher in her hands, appeared in Bristol, in 2001. Then came a bomb-hugging girl and the unknown demonstrator standing in the path of a column of tanks on Tiananmen Square. In the case of Banksy's work, however, the protester holds a sign that reads *Golf Sale*. In one of his interviews, Banksy said, "We can't do anything to change the world until capitalism crumbles."

Banksy abhors street surveillance cameras and urges municipal authorities to legalize graffiti. He has adorned several buildings in London with stencil graffiti, publicly announcing that painting on those walls was absolutely legal. Imagine graffiti writers following suit and covering the buildings with their works. This and several



other works by Banksy, as well as numerous aphorisms, are featured in his self-published book *Banging Your Head Against a Brick Wall*. One of the aphorisms reads, "People who get up early in the morning cause war, death and famine."

Besides painting, Banksy pursues installation art and sculpture. For example, he parodied Rodin's famous sculpture, putting a traffic cone on the thinker's head. Another Banksy installation features a traditional red, cozy London phone booth laid forlornly on its side, axe protruding from its side, blood pooling underneath. Once, Banksy took to the elephant enclosure to write on its wall, "I want out. This place is too cold. Keeper smells. Boring, boring, boring." Then he visited a museum to hang his





უკეთ გამოიყურებოდეს,“ – ამბობს ოაკოაკი. „სენტ-ეტიენი მუშახტეთა ქალაქი იყო. დღეს ის გაღარიბებულია, თუმცა ცდილობს ფეხზე წამოდგეს. მის ქუჩებში სეირნობა ძალიან სასიამოვნოა და ამიტომაც ყველა ქუჩა ჩემი ნამუშევრებისთვის გამზადებული სივრცეა.“

კარგი და კეთილი სურვილია. ის უკვე გასცდა სენტ-ეტიენის საზღვრებს და მთელ საფრანგეთს მოედო, მე კი მუშაობა კითხვა – რატომ არ აღმოჩნდა აქ, თბილისში, ვინმე თავზებელაღებული, რომელიც გამოიწვევს ქალაქს? ფერებს შემატებს ურბანულ სირუხეს, აგვალაპარაკებს, შეგვაშფოთებს და საპატრულოებს მოსვენებას დაუკარგავს?!

version of Claude Monet's *Water Lilies*. In Banksy's work, the pond, along with the usual lilies, is swamped with supermarket carts.

Because of Banksy's activities, vandalism returned as one of the most fiercely debated issues. In 2004, anti-graffiti legislation was amended to impose more severe punishment. Banksy's works, including masterpieces, would be whitewashed and painted over. However, the Mayor of Bristol proved tough and ensured none of Banksy's creations was removed. On the contrary, the artist's hometown cherishes and prizes his pieces as works of art. The city has preserved a piece on the side of a sexual health clinic in Bristol. It depicts a naked lover hanging out of a window while his mistress' husband peers out looking for him.

Banksy remains invisible to this day and continues his attempts to destroy the system. On the other hand, some graffiti writers, instead of destroying, add a stroke or two to their surroundings in an attempt to complete it. One such street artist is OakOak. Paintings of this French master graffiti artist, who refers to himself as a *pen pusher*, adorn the streets of Saint Etienne and other towns.

His urban pieces make the viewer reconsider the notion of space. He does not interfere with the existing context of streets, but only enriches the city with a line or a color, thus transforming it and surprising bored citizens. The art of OakOak does not aim to protest, but rather to amuse and put a smile on the faces of people carrying on their shoulders the heavy load of everyday worries. One of his installations consists of a piece of white paper reading *Freedom Here* placed between two surveillance cameras on the side of a building. The position of the paper points to the blind spot between the cameras and suggests a neat spot for couples to enjoy intimacy. OakOak transforms a simple cement crack into Spiderman's web, while the collapsed stucco surface of a wall turns into a sea-lion playing with a red ball. "I wanted my city to look nicer," OakOak says, "(*Saint Etienne*) was an industrial city with many coal mines; now it's in regeneration and still quite poor. But it's easily traveled on foot with awkward aspects ideal for art. I saw shapes everywhere, and wanted to realize them."

What a nice and noble wish! OakOak has already crossed the Saint Etienne city limits and now covers all of France. I, on the other hand, cannot help asking: When will someone reckless enough emerge in Tbilisi to challenge the city? When will this artist disperse urban grayness, raising rumors and concern among us and forcing police patrol cars to work 24/7?

ირა ჭელიძე

By IRA CHELIDZE





ავჯანის დამზადების 17 წლიანი გამოცდილება  
უახლესი ტექნოლოგიები და მაღალი კლასის  
სპეციალისტები

მენეჯმენტის სერთიფიკაციის სერტიფიკატი ISO 9001:2000

## „მაგთივინი“ გთავაზობთ:

- საოჯახო, საოფისე და სასტუმროს ავეჯს, დაკეტვის უხმაურო, მოსრიალე მექანიზმებით;
- გერმანული ტექნოლოგიით დამზადებულ უნიკალური ზომის გასამლეღ შაგიდებს
- მეტალო-პლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრებს;
- მინა-ალუმინის ფასადებს;
- მზისგან დამცავ სისტემებს, ვერტიკალურ ფარდა-უალეუბების ფართო არჩევანს;
- მწერებისგან დამცავ ბადეებს;
- თანამედროვე, მსუბუქ შიდა კარებს;
- ჩარჩოებს სურათებისა და სარკეებისთვის;
- ინტერიერის დიზაინს.

დაზოგვეთ თქვენი დრო, ენერგია და ბიუჯეტი ჩვენთან ერთად!




## შპს "მაგთივინი" გთავაზობთ სიახლეს!

სულ მალე თქვენ შეძლებთ სასურველი ავეჯი შეუკვეთოთ უკვე ქალაქის ცენტრში, აღმაშენებლის გამზირზე, 119/1.

ჩვენ გთავაზობთ ექსკლუზიურ დიზაინს, შექმნილს სპეციალურად თქვენთვის, გამოცდილი დიზაინერების მიერ!



## ინტერიერის დიზაინი



იყავით გამორჩეულები



მაგთივინი  
Magtiwin

ს ა გ ა მ ო ფ ე ნ ო დ ა რ ბ ა ზ ი :

თბილისი, პოლიტეკვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. 5, ტელ.: 217 13 95, 217 13 96  
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 119/1. ტელ.: 294 00 00; ფაქსი: 295 26 68  
info@magtiwin.ge

www.magtiwin.ge



სერტიფიკატი  
ISO 9001:2000  
საქონლის  
გარანტირებული  
ხარისხი



ფოტო: ზურა ცანგაველი



**4G<sub>LTE</sub>**

[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

